ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—45.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირალდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 30 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 172 (1327)

დღიური

- ოდესაში ჩავიდა ფრანგ მევენახეთა დელეგაცია.
- ინგლისში მწარმოებლებმა დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილებები.
- 15 ივლისს გაიხსნება საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა.
- 21 აგვისტოს გაიხსნება ამერიკის მუშათა პარტიის ყრილობა.
- ლვოვში მოკლეს ცნობილი პროვოკატორი სტანისლავ ცეხნოვსკი.

კვალიფიციური მუშა-ხელის საკითხი

ამა წლის პირველი ივლისისათვის თბილისში აღრიცხვაზე იყო აყვანილი 9.977 უმუშევარი. ამის მიხედვით ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ საქართველოში თითქო ადგილი ჰქონდეს დახელოვნებულ, კვალიფიციურ მუშა-ხელის სიჭარბეს. ნამდვილად კი სულ საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. აღრიცხულ უმუშევართა უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ ე. წ. შავი სამუშაოს მაძიებელნი და კანტორის მუშაკნი, რომელნიც მოკლებული არიან სპეციალურ ტეხნიკურ და საწარმოო ცოდნა-გამოცდილებას, რომ გამოყენებულ იქნენ სამრეწველო დაწესებულებებსა თუ სახელოსნოებში.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში კვალიფიციურ უმუშევართა ერთეულებს, რომელთა ჩაბმა სამუშაოში ვერ ხერხდება მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ჯერ-ჯერობით განუვითარებლობის გამო ჩვენში,—საერთოდ საქართველო განიცდის დახელოვნებულ მუშების მწვავე ნაკლებობას. ამჟამად ჩვენი მრეწველობა კვალიფიციური მუშაკებით დაკმაყოფილებულია დაახლოებით მხოლოდ 50 პროცენტით. საქმე იქამდე მიდის, რომ სამეურნეო ორგანოები ზოგჯერ იძულებული არიან რუსეთიდან მოიწვიონ სხვადასხვა დარგის მცოდნე პირები, თუმცა ამ მხრივ იქაც ცუდი მდგომარეობაა.

თვით წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმული მუშა-მოსამსახურეთა საგრძნობი ნაწილი არ არის სათანადოთ მომზადებული დაკისრებული საქმის პირნათლად შესრულებისათვის. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს დაწესებულების მუშაობის გაჯანსაღებას და კარგი ღირსების საქონლის გამოშვებას ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებიდან.

თუ ასეთი მდგომარეობაა დღეს კვალიფიციურ მუშა-ხელის საკითხში, რა იქნება ახლო მომავალში. ჩვენი მეურნეობა თანდათანობით იზრდება და ფართოვდება. ეს კი მოითხოვს დახელოვნებულ მუშების სულ ახალ და ახალ კადრებს. მოთხოვნილება მუშა ხელზე ამ ბოლო დროსაც საგრძნობლად გადიდდა. საშუალოდ თვეში მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში (კვარტალში) ეს მოთხოვნილება უდრიდა, თბილისის საშუამავლო ბიუროს ცნობების მიხედვით, 961 კაცს, მეორე მეოთხედში 748-ს, ხოლო მესამეში—1.298 კაცს, ე. ი. წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილა 73,5 პროც.

სამეურნეო ორგანოებს მეტ წილად უხდებათ არა საკმაოდ კვალიფიციურ მუშების აყვანა, რადგან მომზადებული მუშა-ხელი ნაკლებად მოიპოვება შრომის ბაზარზე.

როგორც ვსთქვით, ჩვენი მრეწველობის და საერთოდ სახალხო მეურნეობის აღორძინება ფართო მასშტაბით სწარმოებს. დაწყებულია ან განზრახულია ახალი ფაბრიკა-ქარხნების, ჰიდრო-სადგურების აშენება, რკინის გზების გაყვანა, და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ოცნება კი არ არის, არამედ უაღრესად პრაქტიკული და სადღეისო ამოცანაა.

ეს გარემოება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს ჩვენს წინაშე კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხს. ერთი მხრივ საჭიროა წარმოებებში დაბანდებულ მუშების უფრო გამოუცდელ ნაწილის გადამზადება, მეორე მხრივ დახელოვნებულ მუშების ახალი კადრების შექმნა. „ნედლი მასალა“ უკანასკნელთათვის მოიპოვება. ესაა საკმაოდ დიდი რიცხვი არაკვალიფიციურ უმუშევრების, რომელთაც სოფლიდან კიდევ დღითი-დღე ემატებიან უმიწობით შევიწროებული და სამუშაოს მაძიებელი გლეხები.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშა ახალგაზრდობის მომზადებას. მათთვის კიდეც არსებობს საფაბრიკო-საქარხნო სკოლები. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ამ სკოლების მიმართ ხშირად გაისმის უკმაყოფილება სამეურნეო ორგანოების მხრით.—საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეები ხელობას ვერ სწავლობენ რიგიანადო. აუცილებელია ხსენებულ სკოლებში სპეციალური ცოდნის შეძენის პრაქტიკულ ნიადაგზე უკეთ დაყენება და მათი მეტი შეფარდება ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგების მოთხოვნილებებთან.

შესაფერი ყურადღება უნდა დაეთმოს საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის საკითხს. შეგირდები წარმოებებში გარკვეულ, საგრძნობ პროცენტს უნდა შეადგენდნენ და სათანადოთ უნდა იყოს დაყენებული მათი სწავლების, აგრეთვე, შესაძლებლობის ფარგლებში, ნივთიერი უზრუნველყოფის საქმე.

არა მცირე მნიშვნელობა აქვს დაზგის მუშებისათვის, მათი კვალიფიკაციის ასაწევად, პროფესიონალურ-ტეხნიკურ კურსების მოწყობას. ერთი ასეთი კურსები კიდეც გახსნილა თბილისში 1924 წლის ივნისიდან. მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჩვენი ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს დღეს კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება და შექმნა. ამ ამოცანის დაჩქარებით გადაჭრას გვიკარნახებს როგორც დღევანდელი მდგომარეობა ამ მხრივ, ისე უფრო ახლო მომავლის პერსპექტივები.

უკან დაიხიეს

ჩვენ ვლაპარაკობთ ინგლისის მრეწველებზე. მკითხველმა უკვე იცის, თუ როგორ გართულდა ამ ბოლო დროის მდგომარეობა ინგლისში. მრეწველობის კრიზისის ნიადაგზე იქ კლასთა ბრძოლამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო.

ამ კრიზისის დაძლევა თუ არა, შენელება მაინც მრეწველებმა მოინდომეს მუშების ხარჯზე. ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გადიდება—ასეთია კაპიტალისტების მიერ იმ თავითვე „აღმოჩენილი საშუალება“ „ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად“, როცა ეს მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება ინგლისელი მრეწველებიც ამ გზას დაადგნენ. როცა მუშებმა ამაზე წინააღმდეგობა გაუწიეს, ინგლისელი კაპიტალისტები დაემუქრენ მათ ლოკაუტით, წარმოებათა დახურვით და მუშების ქუჩებში გამოყრით. ნაწილობრივ კიდეც განახორციელეს ეს მუქარა დროებით.

წარსული მაგალითების მიხედვით იმედოვნებდნენ—მუშები ასეთი „მაგარი“ პოლიტიკით შეშინდებიან, ერთსულოვნებას და სიმტკიცეს ვერ გამოიჩენენ და თავმოხრილნი დასთანხმდებიან ჩვენს პირობებზეო, მაგრამ სასტიკად მოტყუვდნენ.

მუშათა კლასმა მრეწველების ლოკაუტზე საყოველთაო გაფიცვის მუქარით უპასუხა. გუშინ ჩვენ ცნობა გვქონდა გამოქვეყნებული, რომ სამთო-მადნო მუშათა ფედერაციამ მხოლოდ 24 საათით გადასდო 27 ივლისისათვის დანიშნული მაღაროს მუშათა გაფიცვა, რომ უკანასკნელად „მოსულიყვნენ გონს“ მრეწველები. დღეს უკვე გვაუწყა რადიომ, რომ ბოლდუინმა (ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე) განზრახვა აქვს აიძულოს მაღაროების პატრონები ორი თვით გადასდონ მუშების დათხოვნა. ეჭვი არ არის, რომ ამაზე ისინი დასთანხმდებიან. აგრეთვე არის ცნობა, რომ საფეიქრო წარმოებათა მფლობელებმა ხელი აიღეს ლოკაუტზე და უკან წაიღეს განცხადება მუშების დათხოვნის შესახებ. უკანასკნელნი განაახლებენ მუშაობას, თუ შერჩებათ ლოკაუტამდე არსებული ხელფასი.

რამ შეაშინა ინგლისის მრეწველები და კონსერვატორების მთავრობა? ცხადია რამ. ინგლისის პროლეტარიატმა მათ უჩვენა შეკავშირებული მუშტი. აღსანიშნავია, რომ მუშათა კლასმა ამ შემთხვევაში გამოიჩინა იშვიათი სოლიდარობა. გაფიცვისათვის მზად იყვნენ არა მარტო უშუალოდ კონფლიქტში ჩაბმული მუშები, არამედ დანარჩენებიც, პირველთათვის მხარის დასაჭერათ. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ პროფკავშირთა ზედა წრეებიც რომელთაც ხელობად აქვთ გადაქცეული მუდამ შემარიგებელი პოლიტიკის წარმოება შრომასა და კაპიტალ შორის, ამჟამად ვერ გაბედეს თავისი ოპორტიუნისტული, გამცემლური ზურგის გამომჟღავნება და ამხედრებულ მუშებს გაუმაგრეს ზურგი, რომ შერყეული ავტორიტეტი აღედგინათ მასებში და არ გარიყულიყვნენ მათგან.

ამგვარად, მუშათა სიმტკიცემ, სოლიდარობამ, რევოლიუციონურმა შეგნებამ გასჭრა და საერთო შეტევაზე გადმოსული ბურჟუაზია შეაჩერა.

მაგრამ როდემდის? ინგლისის მრეწველობის კრიზისი ივლის თავისი წესით. ბოლდუინი პირდება კაპიტალისტებს ნივთიერი ზარალისაგან უზრუნველყოფას, თუ ისინი დღეს უარყოფენ თავის მოთხოვნებს მუშების მიმართ. ეს ნიშნავს მათთვის დიდძალი სუბსიდიის მიცემას სახელმწიფო ხაზინიდან და კრიზისის ხელოვნურ შესუსტებას. მაგრამ ეს ზომა შეარყევს ინგლისის ბიუჯეტს, რომელიც არც ისე ბრწყინვალე მდგომარეობაშია. ხარჯები საგრძნობლადაა გაზრდილი შემოსავალთან შედარებით.

ეს გამოსავალი არ არის. ახლო მომავალში უფრო სერიოზული სოციალური კონფლიქტებია ინგლისში მოსალოდნელი. ბრიტანეთის ეკონომიკის გაჯანსაღებაზე შეუძლებელია ლაპარაკი კერძოდ იმ იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ადგია კონსერვატორების მთავრობა,—განსაკუთრებით მისი მტრული განწყობილების დროს საბჭოთა კავშირთან. ინგლისის პროლეტარიატი თავის ქვეყნის მრეწველობის გამოცოცხლების და უმუშევრობის შემცირების ერთ მთავარ საშუალებად ტყუილად არ სთვლის ჩვენთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას.

მაგრამ კონსერვატორები ჯიუტობენ. მუშათა კლასმა დღეს მისცა მათ მეტად სერიოზული გაფრთხილება. ეჭვი არ არის, რომ იგი ეხლანდელ მაგალითს გაითვალისწინებს, რათა შემდეგისათვის გადასდგას უფრო გაბედული ნაბიჯები.

ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციის ანგარიში

„საბჭოთა მთავრობა არა თუ სარგებლობს მუშათა და გლეხთა უმრავლესობის სრული ნდობით, არამედ ორივე ეს კლასი თავის საკუთარ მთავრობად სთვლის საბჭოთა ხელისუფლებას.—საბჭოთა კავშირისათვის რომ საჭირო კრედიტები მიეცათ, დიდძალი მანქანები და მოწყობილობა, რომელსაც ის ინგლისში შეიძენდა, სამუშაოს გაუჩენდა ინგლისელ მუშებს და სარგებლობას მოუტანდა საბჭოთა კავშირის ხალხს“.

ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციამ, რომელიც 10 კვირის განმავლობაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, ინგლისში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა მოკლე ანგარიში თავისი მოგზაურობის შესახებ.

დაწვრილებითი ანგარიში შედგენილი და გამოქვეყნებული იქნება უფრო გვიან.

ქვემოდ მოგვყავს დელეგაციის მოკლე ანგარიში.

„რუსეთში ჩვენი გამგზავრების მთავარ მიზანს შეადგენდა ქალთა და ბავშვთა ყოფა-ცხოვრების პირობების შესწავლა. ამავე დროს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ცხოვრების საერთო პირობებს.

საბჭოთა კავშირში ჩვენ დავყავით თითქმის 10 კვირა და შევკრიბეთ უაღრესად საინტერესო მასალა, რომელსაც ჩვენ ეხლა ვამუშავებთ ოფიციალური ანგარიშის შესადგენად. ჩვენ იმედი გვაქვს გამოვსცეთ ეს ანგარიში 4—5 კვირის განმავლობაში. მანამ კი ჩვენ სასურველად მივაჩნია გამოუშვათ წინასწარი ანგარიში საერთო შთაბეჭდილებების შესახებ.

შევისწავლეთ რა მუშაობის პირობები მრავალ ფაბრიკებში საბჭოთა რესპუბლიკების სხვადასხვა ადგილას წარმოების ყველა დარგის მუშებთან, გლეხებთან და სასოფლო-მეურნეობის მუშებთან საუბრის შემდეგ (ზოგიერთი საუბრები განზრახული გვაქვს აღვადგინოთ ჩვენ ანგარიშებში), ჩვენ ყოველგვარ მერყეობის გარეშე ვაცხადებთ, **რომ საბჭოთა მთავრობა არა თუ სარგებლობს მუშათა და გლეხთა უმრავლესობის სრული ნდობით, არამედ ორივე ეს კლასი თავის საკუთარ მთავრობად სთვლის საბჭოთა ხელისუფლებას.**

რა თქმა უნდა, რუსეთში დიქტატურა არსებობს, მაგრამ ეს არის **მუშათა და გლეხთა დიქტატურა.** რუსეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენს, უეჭველია, ხელმძღვანელ ძალას, მაგრამ მართავენ მუშები და გლეხები მათ მიერ არჩეულ საბჭოების საშუალებით.

ქალები მრეწველობაში

„ქალებს შეძლებისდაგვარად უწევენ დახმარებას ხელი მოჰკიდონ ყოველგვარ შრომას და აგრეთვე ხელს უწყობენ მათ გახდენ კვალიფიციური მუშები ინდუსტრიის ყოველ დარგში. როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები ერთნაირი მუშაობისათვის იღებენ ერთნაირ ხელფასს. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში ვაჟები და ქალები ერთად მუშაობენ.

ქალების მუშაობა მრეწველობაში მსუბუქდება იმის წყალობით, რომ ფაბრიკებთან მოწყობილია ბაგები და საბავშვო ბაღები, სადაც ქალები გულდამშვიდებით სტოვებენ თავიანთ ბავშვებს. იქ ბავშვებს უვლიან და ასაზრდოებენ უმეტეს შემთხვევაში უფასოთ.

ფაბრიკაში მომუშავე ქალს ეძლევა 2 თვის შვებულება მშობიარობის წინ და შემდეგ, ამასთანავე შვებულების ფული ეძლევათ მთლიანად; გარდა ამისა ეძლევათ დახმარება მშობიარობისათვის ფულათ ან ნატურით, ჩვეულებრივად ნატურით, რათა ახალშობილი უზრუნველყოფილ იქნას ტანსაცმელით და სხვა. მშობიარე ეძლევა უფასო საექიმო დახმარება. გონებრივ შრომის მუშა-ქალებს და კანცელარიის მოხელეებს ეძლევათ 6 კვირის შვებულება მშობიარობამდე და 6 კვირის—მშობიარობის შემდეგ.

საქარხნო სასადილოები

„საქარხნო ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენენ სასადილოები ბავშვთა და მუშებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების და პროფკავშირები ხელს უწყობენ ასეთ სასადილოების გახსნას, რათა ქალი განთავისუფლებული იქნას საშინაო მოვალეობათაგან. არსებობს აგრეთვე კომუნალური და კოოპერატიული სასადილოები, რომელიც ამცირებს მშრომელი ქალის ოჯახურ მუშაობას.

კლუბები

ზოგ ფაბრიკებში მოწყობილია კლუბები, რომელნიც სერიოზულ როლს თამაშობენ მუშების გართობის და განათლების საქმეში. რათა ქალებს მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ განმანათლებელ წრეებში და პროფკავშირთა კრებებზე, სპეციალურად მომზადებული პირები ზრუნავენ ამ დროს ბავშვებზე.

მუშათა შვებულება

კანონით დაწესებულია მინიმალური შვებულება 2 კვირით ხელფასის მიცემით. გარდა ამისა არსებობს მთელი რიგი დღესასწაულები. მუშები, რომელნიც მუშაობენ საშიშ ან ჯანმრთელობისათვის საზიანო წარმოებში, იღებენ დამატებით შვებულებას 2 კვირით.

დასასვენებელი სახლები

გახსნილია დასასვენებელი სახლები, სადაც მუშებს შეუძლიათ გაატარონ თავიანთი შვებულება. ეს სახლები მოწყობილია უმეტეს შემთხვევაში ძველ სასახლეებში, ყოფილ თავადების და მდიდარ ვაჭრების აგარაკებზე. ამის გამო ყირიმის, კავკასიის და სხვა კურორტები, რომელზედაც წინად ოცნებობაც კი არ შეეძლოთ მუშებს, დასახლებული არიან ზაფხულობით მუშებით და გლეხებით. ამ სახლებში ჭამა-სმა უფასოა, მგზავრობაც უფასოა, დასასვენებლად წასულ მუშებს ეძლევათ სრული ხელფასი.

ჯანმრთელობის დამცველი ორგანოები

ისეთ სნეულებათა სამკურნალოთ, როგორც ჭლექი, ნერვიული, გულის და სხვა ავადმყოფობანი, მოწყობილია და თანდათან ფართოვდება სანატორიუმების და ჯანმრთელობის დამცველ დაწესებულებათა სისტემა. დელეგაცია აღნიშნავს მთელ რიგ შემთხვევას, როდესაც სანატორიუმებში ექიმობდნენ მუშები, რომელთა საერთო სისუსტე გამოწვეული იყო წარმოებაში მუშაობით. ჩვეულებრივად მუშები რჩებიან ამ დაწესებულებებში 6 კვირა. მაგრამ საჭიროების მიხედვით ეს ვადა შეიძლება გაგრძელებული იქნას. სანატორიუმებში ყოფნის დროს მუშებს ეძლევათ სრული ხელფასი. ჯანმრთელობის დამცველ დაწესებულებებში შენახვა უფასოა.

ზოგიერთი ქარხნები, რომელიც ჩვენ ვინახულეთ, ძალიან კარგადაა მოწყობილი. ზოგიერთების მოწყობილობა კი ძალიან დაძველებულია. მაგრამ უმრავლეს წარმოებებში მიღწეულია დიდი წარმატებანი იმ მხრივ, რომ შემოღებულია გაუმჯობესებული ტეხნიკით ვენტილიაცია და ყოველგვარი მოწყობილობანი მუშების ჯანმრთელობის და უშიშროების დასაცავათ.

მთელ რიგ რაიონებში შენდება ახალი სახლები მუშებისა და გლეხებისათვის. ამ სახლებში დაცულია თანამედროვე ჰიგიენის ყველა პირობები, რის გამოც ცხოვრების პირობები ძირიან-ფესვიანად იცვლება. მრეწველობის სარგებლით ამჟამად შენდება ამერიკული და ინგლისური ტიპის ქალაქი-ბაღის სახლებით.

აღმშენებლობითი მუშაობა

დიდი სამუშაო მოელის კიდევ საბჭოთა ხელისუფლებას არა მარტო მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღდგენის და განვითარების საქმეში, არამედ საბინაო აღმშენებლობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის და კერძოთ სამელიორაციო მუშაობის დარგში. ის, რაც გაკეთებულა ამ მიმართულებით, ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი წარმატებით ვითარდება, მაგრამ განვითარების პროცესს აუცილებლობის ძალით თან სდევს დროებითი გაჭირვება.

საბჭოთა კავშირისათვის რომ საჭირო კრედიტები მიეცათ, დიდძალი მანქანები და მოწყობილობა, რომელსაც ის ინგლისში შეიძენდა, სამუშაოს გაუჩენდა ინგლისელ მუშებს, სარგებლობას მოუტანდა საბჭოთა კავშირის ხალხს და ამავე დროს მოგებას მისცემდა კაპიტალისტებს, რომელნიც საჭირო თანხებს მიაწოდებდენ.

მადლობა ინგლისის მუშებისადმი

ბოლოს ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩვენ მიერ ნახულ ადგილებში მუშები, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები უღრმეს კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმ ზნეობრივ და ფაქტიურ დახმარებისათვის, რომელიც გაუწია მათ ინგლისის მუშათა კლასმა ინტერვენციის და რუსეთის ბლოკადის წინააღმდეგ ბრძოლით, საბჭოთა კავშირის მუშები აფასებენ უაღრესად ძმურ ურთიერთობას, რომელიც დამყარდება რუსეთის და ინგლისის მუშებს შორის და ამაში ხედავენ ისინი პირველ ნაბიჯს მუშათა კლასის საერთაშორისო მთლიანობის დამყარებისაკენ.

მერი კვეილ, ბ. ბრიჯ, ა. ლოკლეინ, ლ. ასპინალ

კანტონისა და პეკინის მთავრობის შეთანხმება იმპერიალისტების წინააღმდეგ
თავდასხმა მუშებზე შანხაიში.—ახალი გაფიცვები ცინ-დაოში
მუშათა პროტესტის ზეგავლენით ჩან-ძო-ლინის გენერლებმა გახსნეს პროფკავშირთა ბინები

სტუდენტთა კავშირის პროტესტი მუშათა ორგანიზაციების დევნის წინააღმდეგ.—იაპონელმა მწარმოებლებმა ცინ-დაოში დაარღვიეს მუშებთან დადებული შეთანხმება.—შანხაის წყალსადენის ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა გაფიცულ მუშების მოთხოვნილებები.—მოლაპარაკება ექსტერიტორიალობის გაუქმების შესახებ პეკინიდან ლონდონში გადაიტანეს.—ინგლისის კონსული კანტონში დასთანხმდა კანტონის მთავრობის მოთხოვნილებებზე. ცინ-დაოში გაფიცულია 12.000 მუშა.

თავდასხმა დემონსტრანტებზე.

პეკინი, 28 ივლისი. მეზღვაურთა კავშირის ბინის დაბეჭდვამ შანხაის მეზღვაურთა შორის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. კავშირის დაბეჭდვის შემდეგ მეზღვაურებმა დროშებით გაიარეს უცხოელთა უბანში ჩან-ძო-ლინის შტაბისაკენ და მოითხოვეს კავშირის ბინის დაუყოვნებლივ გახსნა.

ინგლისის პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და სცემა მათ, მრავალი მეზღვაური დაჭრილია, მრავალი დააპატიმრეს. ქალაქის ჩინურ ნაწილში პოლიციის მეთვალყურეობა კიდევ უფრო გააძლიერეს.

სტუდენტთა კავშირის პროტესტი.

პეკინი, 28 ივლისი. სტუდენტთა კავშირმა სამხედრო ხელისუფლებას გადასცა საპროტესტო განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შანხაის ორგანიზაციები წარმოადგენენ მოძრაობის ცენტრს უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ, ამავე დროს კი თვით ჩინეთის ხელისუფალნი შლიან სამხედრო ორგანიზაციებს. პროტესტი აფრთხილებს სამხედრო ხელისუფალთ, რომ მუშათა ორგანიზაციების დასაცავათ ახალი ბრძოლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ.

პროფკავშირთა საბჭომ მოიწვია სპეციალური თათბირი შექმნილ მდგომარეობის განსახილველათ.

საყოველთაო აღშფოთება.

პეკინი, 28 ივლისი. მეზღვაურთა კავშირის ბინის დაბეჭდვასთან დაკავშირებით, შანხაის ფეხზე მოვაჭრეთა კავშირმა სასწრაფოთ გამართა მიტინგი, რომლის შემდეგ ადმინისტრაციას გაუგზავნეს დელეგაცია განცხადებით, რომ, თუ მეზღვაურთა კავშირის ბინა არ გახსნეს, ფეხზე მოვაჭრეთა კავშირი იძულებული გახდება მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი.

სამხედრო სარდლობა იძულებული გახდა გაენთავისუფლებია მეზღვაურთა კავშირის დაპატიმრებული წევრები და, აგრეთვე, გაერთიანებული კომიტეტის დაპატიმრებული წევრები.

მეზღვაურებმა, რომლებიც მსახურობენ ჩინურ სანაოსნო საზოგადოებებში, განაცხადეს, რომ ისინი შეუერთდებიან გაფიცვას, თუ არ გახსნიან მეზღვაურთა კავშ. ბინას.

იმპერიალისტები დათმობაზე წავიდენ.

პეკინი, 28 ივლისი. პროფკავშირის საბჭოს სავაჭრო პალატის წარმომადგენელთა და შანხაის სხვა ორგანიზაციების პროტესტის შემდეგ, ჩინეთის სამხედრო სარდლობამ, კვირას, გახსნა მეზღვაურთა კავშირის ბინა.

გაერთიანებული კომიტეტის ბინა ჯერ კიდევ არაა გახსნილი. სამხედრო სარდლობა აცხადებს, რომ ის მზად არის გახსნას გაერთიანებული კომიტეტის ბინაც იმ პირობით, თუ მის შემადგენლობიდან გამორიცხული იქნებიან უკიდურესი ელემენტები.

ინგლისის კონსულის ზეგავლენით.

პეკინი, 28 ივლისი. ჩინეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ჩან-ძო-ლინის ჯარების სარდალმა შანხაიში გენერალმა სინ-ში-ლინგმა განაცხადა, რომ იგი ეძხრობა ნაციონალურ მოძრაობას და თუ მონაწილეობა მიიღო რეპრესიებში გაერთიანებული კომიტეტის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ ინგლისის კონსულის ზეგავლენით.

რას მოითხოვენ გაფიცულები.

პეკინი, 28 ივლისი. გაფიცულმა მუშებმა იაპონელ ფაბრიკანტებს შანხაიში წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი, როგორც პირობა წარმოებებში მუშაობის განახლებისა: 1) პროფესიონალურ კავშირების ცნობა, 2) გაფიცვის დროის ხელფასის მიცემის საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნეს მუშაობის განახლების შემდეგ მწარმოებელთა და მუშათა ორგანიზაციებს შორის უშუალო მოლაპარაკებით, 3) შრომის ხელფასი გაცემული იქნეს სრულად დოლარების ანგარიშით, **4) ფაბრიკებში იაპონელ ზედამხედველებს აეკრძალოთ იარაღის ტარება, 5) უსაფუძვლოთ მუშების დათხოვის შეწყვეტა და 6) 30.000 დოლარის გადახდა პოლიციასთან შეტაკებაში მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახის წევრების სასარგებლოთ.**

მწარმოებელთა სახელით იაპონიის კონსულმა უარი განაცხადა ზემოხსენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. მოლაპარაკება შესწყდა.

მწარმოებლები არღვევენ შეთანხმებას.

პეკინი, 28 ივლისი. იაპონიის ქარხნებში ცინ-დაოში დაიწყო გაფიცვა მწარმოებლების მიერ მუშებთან დადებულ შეთანხმებების დარღვევის გამო (მუშების დათხოვნა, მუშების ცემა ზედამხედველების მიერ და სხვა).

ადმინისტრაცია დათმობაზე მიდის.

პეკინი, 28 ივლისი. შანხაის წყალსადენის ადმინისტრაცია დათანხმდა გაფიცვის დროის ხელფასის გაცემაზე და 62 დათხოვნილი მუშის უკან მიღებაზე.

შანხაის პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა წყალსადენის მუშებს განაახლონ მუშაობა.

ამერიკის მთავრობის მოთხოვნილება.

პეკინი, 28 ივლისი. „იუნაიტედ პრესს“-ი იუწყება, რომ ამერიკის მთავრობამ დაავალა თავის ელჩს პეკინში მოსთხოვოს ჩინეთის მთავრობას, რათა მან იკისროს პასუხისმგებლობა მანჯურიის ხუნხუზების მიერ ამერიკელ მორგან-პალმანის მოკვლისა და მეორე ამერიკელის, ექიმ ხორვარდის გატაცებისათვის.

კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ.

პეკინი, 28 ივლისი. მთავრობის კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ იწვევს სერიოზულ უკმაყოფილებას ჩინეთის მუშათა ორგანიზაციებში. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს კანონპროექტის ის მუხლი, რომლითაც პროფკავშირში შემსვლელი არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები წლის და პროფორგანიზაციის წევრთა რიცხვი განსაზღვრულია 60 კაცით.

პეკინიდან ლონდონში.

პეკინი, 28 ივლისი. იაპონიის სააგენტო „ნიპპონ დემპო“ იუწყება, რომ ჩინეთის საკითხის გარშემო მოლაპარაკება პეკინიდან გადატანილია ლონდონში.

ლონდონში უკანასკნელ თათბირზე, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის და საფრანგეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიღწეულია შეთანხმება კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელზედაც გადათვალიერებული იქნება ჩინეთის საბაჟო ტარიფები და შედგენილი იქნება უცხოელთა ექსტერიტორიალობის უფლების შემსწავლელი კომისია, ამ უფლების გასაუქმებლათ. ფიქრობენ, რომ დანარჩენ სახელმწიფოების მიერ ამ გადაწყვეტილების მოწონების შემდეგ ჩინეთის მთავრობას გაეგზავნება სათანადო ნოტა.

ერთიანი ფრონტი იმპერიალისტების წინააღმდეგ

პეკინი, 28 ივლისი. ადგილობრივი პრესის ცნობით, პეკინის მთავრობამ **გადასწყვიტა შეუთანხმდეს კანტონის მთავრობას და შექმნას ერთიანი ფრონტი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.** განზრახულია კანტონის წარმომადგენლების შეყვანა უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკების საწარმოებლათ დანიშნულ დელეგაციაში, და, აგრეთვე, პეკინის წარმომადგენლების მონაწილეობა შამინის სისხლისმღვრელ ამბების გამომკვლევ კომისიაში.

დასთანხმდენ მოლაპარაკებაზე.

პეკინი, 28 ივლისი. კანტონიდან იუწყებიან, რომ **ინგლისის კონსული დათანხმდა შეუდგეს მოლაპარაკებას კანტონის მთავრობასთან ამ უკანასკნელის მოთხოვნილებათა საფუძველზე. ასეთივე თანხმობა განაცხადა ინგლისის კონსულმა ხანკოუში.**

გაფიცვა ცინ-დაოში.

პეკინი, 28 ივლისი. ფართოვდება გაფიცვა იაპონიის საფეიქრო წარმოებებში ცინ დაოში. გაფიცვაში მონაწილეობს უკვე 12.000 მუშა. მთავარი მოთხოვნილებაა: კავშირების ცნობა, საგაფიცვო დროის ხელფასის ანაზღაურება და გაფიცვის მონაწილე მოკლულ-დაჭრილთა მუშების ოჯახების უზრუნველყოფა.

ინგლისელი მრეწველები დათმობაზე წავიდენ

ლონდონი, 28 ივლისი, დღეს მატყლის სართავ მრეწველობის 20 წარმოების მეპატრონემ უარი განაცხადა ლოკაუტზე და წაიღო უკან განკარგულება მუშების დათხოვის შესახებ. სათანადო ტრედ-იუნიონები დათანხმდენ მუშაობის განახლებაზე იმ პირობით, თუ დაცული იქნება ლოკაუტამდე არსებული ხელფასი. მიღებული ცნობებით, სხვა ფირმებმაც უარი სთქვეს ხელფასის დაკლებაზე.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ბოლდუინს განზრახული აქვს აიძულოს მაღაროების მეპატრონეები ორი თვით გადასდონ მუშების დათხოვნა. ბოლდუინი აძლევს გარანტიას მწარმოებლებს, რომ ამ ხნის განმავლობაში ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან მატერიალური ზარალისაგან. ამ ორ თვეში გამოკვლეული იქნება ნახშირის მრეწველობის მდგომარეობა.

ამერიკის მუშათა პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი იტყობინება, რომ პარტიის ყრილობა, რომელიც პირველად დანიშნული იყო 9 აგვისტოსთვის, გაიხსნება 21 აგვისტოს.

ყრილობას დაესწრება 54 დელეგატი. ყრილობის პროგრამაში შედის: ცეკას მოხსენება, საკითხი მუშათა პარტიის ორგანიზაციის შესახებ, საკითხი მუშათა პარტიის ბოლშევიზაციის შესახებ, ლორეიზმის ლიკვიდაცია, საკითხი ზანგების შეკავშირების შესახებ, კამპანია მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და სხვა.

საფრანგეთის მევენახეთა დელეგაცია ოდესაში

ოდესა. 29 ივლისი. ოდესაში ჩამოვიდა საფრანგეთის გლეხ-მევენახეთა კომუნისტური კავშირის დელეგაცია და ინახულა უკრაინის მევენახეობის სამმართველო. აგრეთვე ინახულეს მრავალი სავენახე მეურნეობა.

დელეგაციას მოლაპარაკება აქვს გამართული სამმართველოსა და სახელმწიფო ბანკთან 3 მილიონი სანერგის მიწოდების შესახებ, რაც სრულიად საკმარისი იქნება უკრაინის გლეხებისათვის.

იქ, სადაც ბატონობენ მემამულეები
ამერიკელები ბესარაბიის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ

ვენა, 28 ივლისი. როკფელერის ინსტიტუტის საექიმო მისიამ, რომელიც მუშაობდა ბესარაბიაში, განსაკუთრებით დნესტრის რაიონში, რუმინეთის პრესაში გამოაქვეყნა ცნობები ბესარაბიის საშინელი ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ, მაგალითად, მიღებული არ არის ზომები პარტახტიან ტიფის წინააღმდეგ. გახშირებულია მალიარიით ავადმყოფობა. მთელ ბესარაბიაში მხოლოდ ორი საავადმყოფოა გავრცელებულ ტრახომის საწინააღმდეგოთ. გავრცელებულია ჭლექი და ვენერიული ავადმყოფობა, რის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის სრულებით არ სწარმოებს.

საზღვარგარეთ მყოფ უკრაინელების მოწოდება

ხარკოვი, 28 ივლისი. მიღებულია მოწოდების ტექსტი ლვოვში მყოფ „უკრაინის ნაციონალ-დემოკრატიულ გაერთიანებისა“, რომელიც მიმართავს დასავლეთ უკრაინის (პოლონეთი) უკრაინულ მოსახლეობას.

მოწოდების გავრცელება აკრძალული იყო პოლიციის მიერ. იმ გაზეთის რედაქტორები, რომელთაც მოათავსეს ამ მოწოდების ზოგიერთი ადგილები, მიცემული არიან პასუხისგებაში.

მოწოდება, აღნიშნავს რა მთელი იმ ძალადობისა და დევნის ისტორიას, რომელსაც ახდენდა პოლონეთის მთავრობა უკრაინის ხალხზე, მოუწოდებს უკრაინულ საზოგადოებრიობას ერთ მთლიან ფრონტის შექმნისაკენ.

„ჩვენ ვაცხადებთ,—ნათქვამია მოწოდებაში,—რომ გალიცია, ქოლმი, პოლესია, ლემკოვშჩინა და პოდლიაშიე წარმოადგენენ უკრაინულ ხალხის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ოლქებს, რომლებზედაც ჩვენ გვაქვს უფლება“.

აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე სრულადაა განხორციელებული უკრაინის ხალხის სახელმწიფოებრივი უფლება მოწოდება აყენებს მორიგ ამოცანად ბრძოლას უკრაინის უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხობის ხელში ყველა მიწების უსასყიდლოთ გადაცემის მიზნით.

პროვოკატორ ცეხნოვსკის მოკვლა

ვარშავა, 28 ივლისი. ლვოვში მოკლეს ცნობილი პროვოკატორი სტანისლავ ცეხნოვსკი.

ცეხნოვსკი მოკლა კომუნისტმა ისაკ ვოტვინმა, რომელიც უკვე დააპატიმრა პოლიციამ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ცეხნოვსკიმ დიდი როლი ითამაშა ვარშავის პოლიტიკურ პოლიციაში. ცეხნოვსკის წყალობით აღმოჩენილი იქნა სამხედრო-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობდენ ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი. ცეხნოვსკიმ გასცა მრავალი კომუნისტები, კომპარტიის ცეკას წევრები, და აგრეთვე მთელი ორგანიზაციები.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

ჩვეულებრივი ლაქუცობა

ლონდონი, 27 ივლისი. სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მუშათა პარტიის ყრილობის გახსნის დროს, მაკდონალდი ერიდებოდა სადაო საკითხების შეხებას და კმაყოფილდებოდა კონსერვატორებისა და ლიბერალების იდეოლოგიის კრიტიკით.

ინდოეთის მუშათა პარტიის წარმომადგენელმა შამან ლაილამ განაცხადა, რომ ინდოეთი მოითხოვს თვითგამორკვევის სრულ უფლებებს.

ჟენევის ოქმის განხილვის შემდეგ, ირლანდიის და კანადის დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დომინიონები მოითხოვენ სრულ ავტონომიურ უფლებებს, განსაკუთრებით პროტესტს აცხადებენ ოქმის ყველა იმ ვალდებულებების გამო, რომლებსაც შეუძლიათ ახალშენები ჩაითრიონ ომში მათი სურვილის წინააღმდეგ.

ყველა სიტყვები განსაკუთრებული ზომიერი ხასიათის იყო.

კონფერენციის პროგრამა

ლონდონი, 26 ივლისი, მუშათა პარტიის საიმპერიო კონფერენციის პროგრამაში შედის სხვათა შორის საკითხი ინგლისის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. მუშათა პარტიის მემარცხენე წრეებში იხილავენ მომავალ კონფერენციის პროგრამას და აღნიშნავენ, რომ ეს პროგრამა უყურადღებოთ სტოვებს ყველა მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად იმ ტომების საკითხს, რომელნიც სცხოვრობენ ინგლისის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში. იგი შედგენილია ისე, რომ განამტკიცებს თეთრ მუშათა არისტოკრატიის გაბატონებულ მდგომარეობას. ამ აზრს ეძლევა დასაბუთებული ხასიათი, ვინაიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ კონფერენციის ყველა სხდომები დახურული იქნება, გარდა პირველისა, რომელზედაც მაკდონალდი წარმოსთქვამს შესავალ სიტყვას.

უკვე გამოცხადდნენ დელეგაციები ავსტრალიიდან, კანადიდან, ინდოეთიდან, ირლანდიიდან, ნიუ-ფაუნდლენდიდან, პალესტინიდან, სამხრეთ-ამერიკის კავშირიდან და ინგლისის გვიანიდან, თვითეული დელეგაცია სარგებლობს ერთი ხმით.

ერთიანი ფრონტის გარშემო

კამპანია ფიმენის წინააღმდეგ

პარიზი, 27 ივლისი. ფიმენის წინააღმდეგ რეფორმისტულ წრეებში სასტიკ კამპანიას აწარმოებენ და ბრალს დებენ მას იმაში, რომ მან ამსტერდამის ინტერნაციონალში მდივნობის დროს გამოიჩინა კეთილსინდისიერება. ფიმენმა მიმართა ინტერნაციონალს თავმჯდომარის მოადგილეს და ბელგიის შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის მდივანს მერტენსს ღია ბარათით, რომელშიც მოითხოვს, რათა მერტენსმა უარჰყოს ეს ხმები და კატეგორიულად განაცხადოს, რომ ფიმენის მოქმედება ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნობის დროს, (რა თანამდებობაც მან თავის ნებით დასტოვა აზრთა სხვადასხვაობის გამო) უმწიკვლო იყო.

პარიტეტული კონტრ-რევოლუციის გასამართლება

მეცხრე დღე

(24 ივლისი)

დილის სხდომა

ბრალდებულთა დაკითხვა

გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა

ბრალდებული ა. ჩხაიძე

(23 წლის. გლეხი. ექვსკლასიანი განათლებით. ყოფილი ფედერალისტი).

გამოსვლის წინა დღეებში ბათომში ყოფილა. 27 აგვისტოს, როგორც თვითონ აცხადებს, გაუგია მისი ბიძისაგან, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტი იყო, რომ აჯანყება იწყებოდა.“

თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რა მონაწილეობას ღებულობდა იგი პირადათ აჯანყებაში, ბრალდებული უპასუხებს, რომ მას „არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო.

თავმჯდომარე. თქვენ აჩვენეთ, რომ გყავდათ რაზმი, რომელიც შესდგებოდა 70 კაცისაგან.

ჩხაიძე უარყოფს ამ ჩვენებას და ამბობს, რომ მას ქობულეთიდან გასვლისას დახვდა 70 კაცი, რომელთაც ეჭირათ ოზურგეთის ხაზი.

ბრალდებული უარჰყოფს ბათომის შტაბის წევრობას, მიუხედავათ იმისა, რომ მას ასეთი ჩვენება აქვს მიცემული წინასწარ ძიების დროს.

თავმჯდომარე ჰკითხავს, ხომ არავის დაუტანებია მისთვის ძალა სასამართლოს გამოძიების დროს.

ჩხაიძე. უარყოფს ყოველივე ძალდატანებას.

თავმჯდომარე. თქვენ აჩვენეთ გამომძიებელს, რომ თუმცა აჯანყება არ მოგიწყვიათ, მაგრამ თქვენ წინადადება მოგცესთ და თქვენაც მიიღეთ მონაწილეობა.

ჩხაიძე. დიახ.

თავმჯდომარე. შეტაკება ხომ არ მოგსვლიათ კომუნარებთან.

ჩხაიძე. ქობულეთიდან რომ გამოვედით, მივედით იმ ალაგას, სადაც ბრძოლა იყო გაჩაღებული და ლიხაურში მივიღეთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში რამოდენიმე კაცმა.

თავმჯდომარე. რამდენი იქნებოდით.

ჩხაიძე: სამოცდა ათ კაცამდე, დანარჩენნი უიარაღონი იყვენ. შემდეგ ლიხაურიდან დაუხევიათ შემოქმედისაკენ.

ოკუჯავა. (ბრალმდებელი)—რატომ გითხრათ თქვენ ბიძა თქვენმა იასე კეჟაყმაძემ, რომ გამოსვლა 27—თვის არის დანიშნულიო.

ჩხაიძე: იმ დღეს მოვიდა ჩემთან და მითხრა: მე შეგნებულათ მივეცი თანხმობა რადგან შეიძლებოდა იგი ბათომში დაეპატიმრებიათ. იგი წავიდა ფარულად, მე მეორე დღეს უნდა მისულიყავი მასთან.

ოკუჯავა: რაზე მიეცით თქვენ მას შეგნებული თანხმობა.

ჩხაიძე: რომ მივიღებდი აჯანყებაში მონაწილეობას. შემდეგ იგი უამბობს სასამართლოს, რომ ბათომიდან ელოდენ შტაბს, „რომელსაც უნდა მიეცა ჩვენთვის განკარგულება“. მასთან ყოფილან აგრეთვე ლეო გიორგაძე, გოგოლიშვილი, ნიჟარაძე და კიდევ ორი კაცი. გოგოლიშვილი სადგურზე დარჩენილა ბათომიდან შტაბის მოლოდინში, რომ ეცნობებინა სად ვიყავით ჩვენ.

დამარცხების შემდეგ, მისი სიტყვით, იგი გამოცხადებია ხელისუფლებას ოზურგეთში.

გოგოლიშვილი

(28 წლის, აგრონომი, საშუალო განათლებით. მოწაფეობის დროს თანაუგრძნობდა სოციალისტ-ფედერალისტებს, შემდეგ კავშირი არ ჰქონია მათთან).

აჯანყების წინ ბათომში ყოფილა. იქ „ბრეხალოვკაზე“ გაუგია ლაპარაკი აჯანყების შესახებ. მას წინასწარ ჩვენებაში ნათქვამი აქვს, რომ ჰქონდა კავშირი შტაბის წევრთან ახვლედიანთან. ეხლა „არ მახსენდებაო“, თუ ეს მართლა იყოო. შემდეგი კითხვებით ირკვევა, რომ იგი გაუგზავნიათ ბათომში 28 აგვისტოს კეჟაყმაძის განკარგულებაში, რომელსაც უნდა ეთქვა მისთვის „როგორ მოქცეულიყო“.

თავმჯდომარე: მოგცათ თუ არა ჩხაიძემ შეკითხვა: წავედით თუ არა ჩვენ ქობულეთის შტაბის შესადგენათ 28 აგვისტოს და თქვენ ეს დაადასტურეთ.

გოგოლიშვილი უარჰყობს. იგი ამბობს, რომ ერთი თვის შემდეგ ციხეში გაიგო მან, რომ იგი „თურმე აერჩიათ შტაბის წევრათ“.

თავმჯდომარე. ეკითხება ჩხაიძეს, რატომ სთქვა მან, როცა იგი დაუპირისპირეს გოგოლიშვილს, რომ ისინი წავიდენ ქობულეთში შტაბის შესადგენათ.

ჩხაიძე როცა გამოირკვა ყველაფერი, მაშინ მივეცი მე ასეთი ჩვენება.

ოკუჯავა ეკითხება: თქვენ ბრძანეთ, რომ სამხედრო საქმეში თქვენ არაფერი გესმით, იცით ბაღის კეთება—ხომ არ გაგზავნათ ახვლედიანმა ქობულეთში მიწის საკეთებლად?

გოგოლიშვილი: რასაკვირველია, არა. მე წავედი იქ კეჟაყმაძის განკარგულებაში.

მამალაძე

(41 წლის. 1905 წლიდან სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრი. მასწავლებელი. ეხლა უპარტიო).

პარტიაში აქტიურ მუშაკათ არ ვყოფილვარ. გასაბჭოების შემდეგ გურიაში ვიყავი სკოლის გამგეთ. იქ დაპატიმრებები იყო, მაგრამ ჩემთვის ხელი არავის უხლია. ბათომის კომიტეტის თავმჯდომარემ მაცნობა ერთხელ, რომ ჩემი ნახვა უნდა. იგი არალეგალურად სცხოვრობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შევხვდი მას. წინადადება მომცა, როგორც ძველ მუშაკს დამეწყო კვლავ მუშაობა. დავთანხმდი და ვაწარმოებდი იდეურ—პოლიტიკურ მუშაობას. ორჯერ ვიყავი საოლქო კომიტეტის სხდომებზე—თებერვალში და მაისში. იქ აჯანყებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. შემდეგ მითხრა მე თავმჯდომარემ, რომ შეიძლება ახლო მომავალში აჯანყება მოხდესო. დამისვა რამდენიმე კითხვა. მე უთხარი კომიტეტის თავმჯდომარეს საბაშვილს, რომ თავიდან აჯანყების წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ეს არ არის მიზანშეწონილი ქართველი ერისათვის და, რასაკვირველია, ამის შემდეგ მე ორგანიზაციაში აღარ გამოვდგები სამუშაოდ. შემდეგ მე ვიყავი განთავისუფლებული მუშაობიდან. 28 აგვისტოს დავბრუნდი ბახმაროდან ჩემს სოფელში. 29-ში კი მოვიდა ცნობა, რომ 10 ვერსის მანძილზე შეტაკება იყო. ჩემ სოფელში უმრავლესობა კომუნისტებია, კომუნისტების სოფელს ეძახიან. აჯანყებულნი ჩამოვიდნენ ჩოხატაურიდან და აიღეს ჩვენი სოფელიც. მე მინდოდა დავბრუნებულიყავი სოფელში, რომ გადამერჩინა სკოლის ქონება. ხულოში რომ მივედი „პროპუსკის“ ასაღებად, იქ დამაპატიმრეს.

სტურუა (სასამართლოს წევრი: —მიგაჩნიათ თუ არა ეხლა საბჭოთა ხელისუფლება მისაღებად საქართველოს მშრომელი ხალხისათვის.

მამალაძე: აუცილებლად მიმაჩნია მისაღებად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

(33 წლის. მეურნე, დაბალი განათლების. 1917 წ. 2 წლ. სოციალისტ ფედერალისტი, შემდეგ უპარტიო)

თავმჯდომარე ეკითხება—სად გაიგო ან ვინ უთხრა აჯანყების შესახებ.

ლორთქიფანიძე: ხმები იყო გავრცელებული აჯანყების შესახებ. 24 აგვისტოს შევხვდი კვირიკაძეს. იგი მუშაობდა არალეგალურად და მითხრა, ეს რომ მართალი ყოფილიყო, მეცოდინებოდაო. კვირიკაძე შეეცადა გაეგო ეს ამბავი. მას დაუდასტურეს, რომ აჯანყება გადაწყვეტილიაო. მე მომცეს წინადადება — შემეგროვებია რამდენიმე კაცი. მე უპასუხე, რომ შემიძლია 20—30 კაცის გამოყვანა. მეორე დღეს უნდა მისულიყავი და მიმეღო იარაღი, მაგრამ ვინაიდან ჩვენს პარტიას ცნობა არ ჰქონია, ამიტომ ჩვენ 27 აგვისტოს თავისუფლად დავდიოდით.

თავმჯდომარე: გქონდათ თუ არა ქუთაისში თქვენ სამხედრო ორგანიზაცია, ან შტაბი.

ლორთქიფანიძე: ამბობს, რომ მას არავითარ ასეთ ორგანიზაციასთან კავშირი არ ჰქონია.

თავმჯდომარე: თქვენ სად შეხვდით და რა დროს ვლასა მგელაძეს.

ლორთქიფანიძე: პირველად შევხვდი 21 აგვისტოს. მან მითხრა, რომ გამოსვლები მართლა იქნებაო.

ოკუჯავა: სხვაგან ხომ არსად გინახავთ ვლასა მგელაძე, ყანაში, მაგალითად, და ვინ გითხრათ, რომ იქ არის. რას აკეთებდა, ვინ იყო მასთან.

ლორთქიფანიძე: მეორედ ვნახე ყანაში. ყუმბარებს აკეთებდა. უნდა გაგვეგო გამოვალთ თუ არა და ამიტომ წავედით მასთან.

ოკუჯავა: რა პასუხი მიიღეთ თქვენ პარტიიდან.

ლორთქიფანიძე: არავითარი პასუხი არ მოგვსვლია.

კვირიკაძე

(31 წლისა, ტეხნიკოსი. 1918 წლიდან სოც.-ფედერალისტი)

აჯანყების შესახებ გაუგია 24—25 აგვისტოში. მზადება არ ჰქონია. მისი სიტყვით, მის პარტიას უწარმოებია მხოლოდ ორგანიზაციული მუშაობა.

თავმჯდომარე: წინასწარ ჩვენებაში თქვენ გაქვთ აღნიშნული, რომ ორი-სამი თვის წინათ თბილისიდან ჩამოვიდა ცეკას წევრი, რომელსაც ჰქონდა ლაპარაკი აჯანყების შესახებ.

კვირიკაძე: დიახ, იმან გვაცნობა, რომ საქართველოში აჯანყება იქნება. მაგრამ პარტია ამის წინააღმდეგი იქნებაო.

თავმჯდომარე: არ დაუვალებიათ, რომ მომზადებულიყავით აჯანყებისათვის?

კვირიკაძე: აჯანყებაში პირდაპირი მონაწილეობისათვის მზადება არ დაუვალებიათ, მაგრამ წევრების აღრიცხვა უნდა ყოფილიყო, პარტიულ წევრების აღრიცხვა.

თავმჯდომარე: არ მიგიღიათ დავალება, ინსტრუქცია, სადაც მოთხოვდენ შეგექმნათ სამხედრო ორგანიზაცია?

კვირიკაძე: მართალია მივიღე, მაგრამ ეს საკითხი დავსვი გასარჩევათ ჩვენს სხდომაზე, უარვყავით იგი და პასუხი გავუგზავნეთ.

თავმჯდომარე: რანაირათ ემზადებოდით აჯანყებისათვის ქუთაისში.

კვირიკაძე: მე ვაწარმოებდი წმინდა პარტიულ მუშაობას, ვავრცელებდი არალეგალურ ლიტერატურას, ვაკეთებდი მოხსენებებს, კავშირი გვქონდა მაზრებთან, სოფლებთან და სხვ. აჯანყების შესახებ მე გავიგე ვლასა მგელაძის ჩამოსვლის შემდეგ. მე ვიპოვე საშუალება ვლასა მგელაძეს შევხვედროდი. მან დამაჯერა, რომ აჯანყება უეჭველად იქნებაო. მე უსაყვედურე, რატომ ერთიანი ფრონტი არ არის-თქო. თუ ჩვენი პარტია მიიღებდა მონაწილეობას: მე დავპირდი მგელაძეს 90 კაცის გამოყვანას, მხოლოდ უიარაღოთ.

ოკუჯავა: თქვენ სთქვით, რომ ქუთაისში 2—3 თვით ადრე ჩამოვიდნენ ცეკას წევრები?

კვირიკაძე: ისინი ჩამოვიდენ საორგანიზაციო საქმეებზე, რომ ყოფილიყო უფრო მჭიდრო კავშირი, რომ გვცოდნოდა, თუ სად რა ძალები გვყავს. აგრეთვე გვითხრეს, რომ სხვა პარტიები ემზადებიან აჯანყებისათვის, თუმცა ჩვენი პარტია ჯერ კატეგორიულად წინააღმდეგი არის, მაგრამ შეიძლება დასთანხმდეს.

დადიანი სამსონ

(30 წლის, მშრომელი ინტელიგენტი, იურისტი, უმაღლესი განათლებით. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი).

— 1914 წლიდან 25 ნოემბრის 1924 წლამდე ვიყავი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი: ამის შემდეგ მე ისეთი განცხადება დავწერე, პარტიის დაუკითხავად, ტაქტიკის შესახებ, ისე კარდინალურად შევეხე საკითხს, რომ ამის შემდეგ პარტიის წევრად არ ვსთვლი თავს და პარტიას რომ საშუალება ჰქონდეს, უნდა გამასამართლოს.

თავმჯდომარე: როდის გაგაგზავნეთ თქვენ ფედერალისტთა პარტიამ თავის წარმომადგენლად პარიტეტულ კომიტეტში.

დადიანი: 1921 წლის მარტში დავბრუნდი ბათომიდან, აგრეთვე დაბრუნდენ დამფუძნებელ კრების წევრები: ახალი ხიდაგის გამოსაძებნად, მომხდარი ამბების შესაფასებლად ჩვენ გვქონდა ლეგალური კონფერენცია. ერთი ნაწილი პარტიისა აშკარად მიდიოდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ინაწილებდა მასთან. მეორე ნაწილმა კი საჭიროდ სცნო გამოეტანა რეზოლიუცია, რომ საბჭოთა სისტემა თავის თავად საბრძოლველად არ მიგვაჩნია, იგი ხდის შესაძლებლად თანამშრომლობას ხალხის დაცვისათვისო. პარტია ორად გაიყო. რცხილაძეს, ა. მდივანს დავავალეთ ფილიპე მახარაძესთან დაესვათ საკითხი პარტიის ლეგალურ მუშაობის შესახებ. შემდეგ ბუდუ მდივანმა, რომელმაც შესცვალა მახარაძე, გვიპასუხა, რომ ჩვენი ლეგალიზაცია შესაძლებლად არ მიაჩნია. 1922 წელს მოხდა მასიური დაჭერები, მეც დამატუსაღეს. შემდეგ კიდევ ვიყავი დაჭერილი, მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობა არ მიწარმოებია. ეს იყო 1923 წლის თებერვალს. ამ ხანებში მოხდა ობოლაძის მკვლელობა. დადგა 1924 წელი. ამხანაგებმა შემატყობინეს, რომ პარტიები ემზადებიან და მგონი მაშინ უკვე იყვნენ ჩამოსული ჯუღელი და ჩხიკვიშვილი. ამბობდენ, რომ აჯანყების საკითხი გარკვეულად არის დასმული, პარიტეტულ კომიტეტში კი ჩვენი წარმომადგენელი არ [illegible]. ვითათბირეთ და შეუძლებლად დავინახეთ, რომ პარიტეტულ კომიტეტში ჩვენ წარმომადგენელი არ გვყოლოდა. მე მომცეს წინადადება და დავთანხმდი. ეს მოხდა თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში. ორი კვირის შემდეგ შემატყობინეს, რომ კრებაა პარიტეტულ კომიტეტის და დაესწარიო. ამ კრებაზე ანდრონიკაშვილმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, თუ რა იცოდა საზღვარგარეთიდან. პირველ კრებაზე ამის მეტი არაფერი არ ყოფილა. ამის შემდეგ გავიდა დაახლოვებით ორი თვე. სხდომისთვის არ დაუძახნიათ, მე არც ძალიან ვიწუხებდი თავს, რადგან, სწორე მოგახსენოთ, მეშინოდა არალეგალური მუშაობის. შემდეგ იყო მეორე სხდომა, რომელზედაც თავმჯდომარემ გააკეთა ინფორმაციული ხასიათის მოხსენება, გაგვაცნო თუ რა ამბები მოდიოდა საზღვარ-გარეთიდან და შემდეგ კრებაზე დაახლოვებით მაისში, სთქვა, რომ აჯანყების საკითხი უკვე დასმული არის და ამის შესახებ უნდა ვიქონიოთ მსჯელობაო. მე იმ წუთშივე ავიღე სიტყვა და გავსთქვი ჩემი აზრი აჯანყების საწინააღმდეგოთ. თავმჯდომარემ სთქვა, რომ გადაჭრილად არ დაუსვამთ ეს საკითხი, არის მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლაო. შემდეგ კრებაზე ივლისში თავმჯდომარის ინფორმაციულ მოხსენების შემდეგ, კვლავ დაიწყო ლაპარაკი აჯანყების შესახებ. თავმჯდომარემ დაასაბუთა, თუ რატომ არის მისი პარტია აჯანყების მომხრე. სხვების შემდეგ მეც გამოვედი და შევეცადე დამესაბუთებია ჩემი აზრი ამის შესახებ, მაგრამ ვერავინ ვერ დავაჯერე. ესერებმა განაცხადეს, რომ აჯანყება უნდა უეჭველად მოხდესო და ისინი ამის მომხრენი არიან. მე მოვითხოვე, რომ სრულიად მოეხსნათ ეს საკითხი, რადგან, შეთანხმების ძალით, თუ ერთი პარტია მოითხოვდა ამას, საკითხი მოხსნილი უნდა ყოფილიყო დღის წესრიგიდან. მაგრამ არ დასთანხმდენ. მე განვაცხადე, რომ არავითარ შემთხვევაში ჩვენ მონაწილეობას აჯანყებაში ვერ მივიღებთ და პარტიის სახელით გავდივარ პარიტეტულ კომიტეტიდან. ავდექი, ხმა არავის გამცა. მე ვსთქვი, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით გამოვაქვეყნოთ ეს, გამოუშვათ დეკლარაცია. მივდივართ კარებისაკენ ნელ-ნელი ნაბიჯით, იმედი მაქვს დამიძახებს ვინმე,—მიდის კაცი, პარიტეტი ირღვევა, მაგრამ მე კარებამდე ისე მივედი, რომ კაცმა არ დამიძახა. მივბრუნდი და უთხარი: ის მაინც მითხარით, როდისთვის აპირებთ. პასუხი იყო: თქვენ ერთ კვირაში აზრს ვერ შეიცვლით და რად გინდათ, რომ იცოდეთ. ამის შემდეგ შეხვედრა მათთან არ მქონია. აი ყოველივე ის, რაც მე ჩავიდინე.

ბოკერია

(25 წლის, ინტელიგენტი, ფედერალისტი)

ბრალდებული ახალგაზრდა ფედერალისტების ხელმძღვანელი ყოფილა. აჯანყების საკითხთან დამოკიდებულების შესახებ ის ამბობს: მე გადმომცეს 1924 წლის დასაწყისში, რომ წინამძღვარიშვილს და მაკარიძეს უნდა შეხვდეო. უმთავრესად უნდა მელაპარაკა იმის შესახებ, რომ ჩვენი ამხანაგები არ ადგენ გარკვეულ პოზიციას პარიტეტულ კომიტეტში. გვითხრეს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან შეიარაღებულ აჯანყებისა. სვანიძეს აქვს ჩვენება, რომელიც მეც დავადასტურე, რომ ჩვენი პასუხიც ისეთი იყო, რომ როცა ასეთი საკითხი წამოიჭრება, უფროს ამხანაგებს უნდა მივმართოთ. წინამძღვარიშვილი უკმაყოფილო დარჩა ჩვენი პასუხით და გვითხრა: ჩვენ თქვენზე უფრო სხვა შეხედულების ვიყავითო. მეორეთ მოინდომეს შეხვედრა გედეონ სვანიძესთან გოგიტა ფაღავამ და წინამძღვარიშვილმა. სვანიძემ, როგორც მე ვიცი, ასეთივე პასუხი გაიმეორა.

თავმჯდომარე: თქვენ ახალგაზრდათა ორგანიზაციის და მთავარ კომიტეტს შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა?

ბოკერია: ჩვენ მოვითხოვდით უფრო გარკვეული გზის გამომუშავებას და უფრო აქტიურ საქმიანობას. ჩვენ გვინდოდა გაცხოველება არალეგალურ მუშაობის. ზოგიერთი ამხანაგი კი იყო წინააღმდეგი არალეგალურ ლიტერატურის

თავმჯდომარე: რითა ხსნით თქვენ იმას, რომ მაინც მთავარი კომიტეტის დაუკითხავათ, რომლის განკარგულებაშიც იყო თქვენი ორგანიზაცია, უშუალოდ მიდიხართ პარიტეტულ კომიტეტში და იჭერთ კავშირს მასთან სხვა საკითხების გამოსარკვევათ და გადასაწყვეტად.

ბოკერია: მე ვფიქრობ, ეს არ არის კავშირი, რომ მათ თვითონ მოგვძებნეს ჩვენ. როდესაც ჩვენი აზრი გამოვსთქვით, არავითარი კავშირი აღარ გვქონია მათთან.

თავმჯდომარე: იცოდით თუ არა თქვენ, რომ 28—29 აგვისტოსათვის უნდა მომხდარიყო შეიარაღებული აჯანყება და რამდენი დღით ადრე.

ბოკერია: მე ვიცოდი ეს. გავიგე იმ დროს, როცა გიგა ჩიქოვანი ჩამოვიდა ბათომიდან. ეს იყო დაახლოებით ივლისის შუა რიცხვებში.

ოკუჯავა (ბრალმდებელი): თქვენ როდესაც ახალ გეგმას ამუშავებდით, გქონდათ თუ არა გათვალისწინებული იქ სამხედრო რაზმები.

ბოკერია: მე მხოლოდ გაკვრით ვსწერდი ამაზე: „იქონიეთ მხედველობაში ისეთი პირები, რომელნიც სამხედრო საქმეში გამოგვადგებიან, კონსპირაციის შენახვის ნარი ექნებათ და ამასთანავე სამისო ფიზიკური საშუალება“. აქ არის დაცული მხოლოდ საერთო სქემა.

ოკუჯავა: თქვენ მიერ ე. ი. ცეკას მიერ თქვენი თავმჯდომარეობით დირექტივები გაიგზავნა, სამხედრო მუშაობის შესახებ ბრძანება წავიდა?

ბოკერია: ეს იყო ინსტრუქცია და არა დირექტივა.

თავმჯდომარე: ბრალდებული ბოკერიას დამცველის შუამდგომლობის გამო გამოწვეული იყვეს მოწმე ბარათაშვილი და ბოკერია კი შემოწმებული ავადმყოფობის გამო. სასამართლომ დაადგინა: მოწმე ბარათაშვილის გამოწვევა დაკმაყოფილებული იქნეს, ხოლო შემოწმების შესახებ ბოკერიას უარი ეთქვას, რადგან საქმეში არის მოწმობა მისი ავადმყოფობის შესახებ.

გრიგოლ რცხილაძე

(49 წლისა, ინტელიგენტი, ფედერალისტი 1906 წლიდან)

ბრალდებულის განცხადებით, მოლაპარაკება პარტიათა შორის, სადაც ის ფედერალისტებიდან ღებულობდა მონაწილეობას, დაიწყო 1921 წლის მეორე ნახევარში და დასრულდა 1922 წლის მეორე ნახევარში. მოლაპარაკება მიზნად ისახავდა პარიტეტულ კომიტეტის შექმნას.

ძირითადი პირობა იყო სრული თანასწორობა—განაცხადებს ბრალდებული; პარტიის გავლენას, წევრების რაოდენობას ფასი არ ეძლეოდა, ყველა პარტია თანასწორუფლებიანი წევრი იყო იმ კოლექტივის. ეს პირველი, მეორე—ამ ორგანიზაციის დანიშნულება იყო შეთანხმება და სოლიდარული პოლიტიკა, რომელიც უნდა ყოფილიყო წარმართული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. რომ მომხდარიყო დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს შეთანხმება მაშინ უნდა ყოფილიყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ხელისუფლების შექმნა. ეს იყო მიღწეული დიდი ბრძოლით და გაჭირვების შემდეგ. ყველა პარტიებს ეშინოდათ წინანდელი რეჟიმის რესტავრაციის. ამიტომ ეს კონკრეტიული დადგენილება იქნა შეტანილი შეთანხმებაში. შემდეგ განზრახული იყო კომისიის დაარსება, რომელსაც უნდა გამოეძია მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს დემოკრატიული საქართველოს დამხობა და დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა ყოფილიყვენ მიცემულნი. აი ეს იყო პირობები შეთანხმების.

თავმჯდომარე: რომელ წლამდე იყო თქვენი პარტიის წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტეტში?

რცხილაძე: მე იქ ვიყავი 1923 წლის თებერვლამდე.

თავმჯდომარე: მაშასადამე, ამის შემდეგ თქვენ გამოხვედით იქიდან, რა მიზეზით?

რცხილაძე: დასმული იყო საკითხი აჯანყებისათვის სამზადისის, მაგრამ არა ისე, რომ გადაწყვეტილი ყოფილიყო თვით აჯანყება. იყო ლაპარაკი მხოლოდ საშუალებათა შესახებ. საკითხი იყო დასმული იმ სახით, რომ უნდა გვქონდეს სამზადისი. მე მომივიდა უთანხმოება ამ საკითხის შესახებ და დავტოვე სხდომა. მე საორგანიზაციო საქმეებში მონაწილეობას არ ვღებულობდი, გარდა იმისა, რომ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას პარტიებთან და შემდეგ კი პარიტეტულ კომიტეტის წევრი გავხდი. ვიცი, რომ იყო უთანხმოება ახალგაზრდებთან. ისინი ჩვენ, უფროსებს, გვისაყვედურებდენ —თქვენ აქტივობა გაკლიათ ყველაფერში, თითქოს პოლიტიკურად მკვდარი ხართ, პოლიტიკური ლეშებიო. ჩვენ ვცდილობდით დაგვეშოშმინებინა ისინი.

თავმჯდომარე: თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ აჯანყების საკითხი პარიტეტულ კომიტეტში არ ყოფილა დასმული, იყო მხოლოდ სამზადისი. თქვენ წინასწარ ჩვენებაში კი სულ სხვას ლაპარაკობთ.—პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე თხოულობდა პარტიის სახელით, რომ დანიშნულიყო დღე აჯანყების. რანაირად შეიძლებოდა დანიშვნა, თუ აჯანყება არ იყო გადაწყვეტილი.

რცხილაძე: რომ საკითხი უფრო ნათლად წარმოსდგეს, უნდა მოგახსენოთ, რომ მეც ასე შევხედე ამას, როგორც თქვენ უყურებთ და სხვა არგუმენტთა შორის მოვიყვანე ისიც, რომ ისტორიამ მე-19—მე-20 საუკუნოებში არ იცის მაგალითი, რომ აჯანყებით ერი განთავისუფლებულ ყოფილიყოს. ეს არგუმენტი მოვიყვანე იმის დასამტკიცებლად, რომ აჯანყება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

თავმჯდომარე: მე მაგას არ გეკითხებით. სასამართლოს აინტერესებს, იყო თუ არა თქვენ დროს დასმული აჯანყების საკითხი.

რცხილაძე: ნება მიბოძეთ მოგახსენოთ და გავხსნა ფრჩხილები.—მე მეუბნებოდენ, ჩვენ გვინდა არა აჯანყებაზე ლაპარაკი, არამედ გვინდა, რომ იყოს ძალების დამზადება იმისდამიხედვით, იქნება ეს აჯანყება თუ არაო, დაისმება გამოსვლების საკითხი თუ არაო. მე უპასუხე: თუ თქვენ დაიწყებთ ძალების დაგროვებას, თქვენ მაშინ დაკარგავთ სადავეს, თქვენ კი არ იქნებით ამ ძალების ბატონი, არამედ ძალები იქნებიან თქვენი ბატონი, თქვენი სურვილის წინააღმდეგ შეიძლება ძალებმა დაიწყონ მოქმედება მაშინ, როდესაც ეს თქვენი სურვილი არ იქნება. მე უთხარი, რომ მაგით ხდებით არა ბატონი, არამედ მონა. შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენ შორის ყოფილა დიდი უთანხმოება, ეს სხვადასხვაობა ყოფილა ისეთი აუწონარი, ისეთი სხვაობა აზრის, რომ ამის შემდეგ ჩვენი იქ მუშაობა შეუძლებელი იყო.

დ. ონიაშვილი

(იურისტი, ლიტერატორი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრი 1904 წლიდან, უკანასკნელ დროს ცეკას პრეზიდიუმის წევრი).

თავმჯდომარე: თქვენ იყავით პარიტეტულ კომიტეტის სარედაქციო კომისიის წევრი.

ონიაშვილი: დიახ, გახლდით.—მე დავესწარი ერთ-ერთ არალეგალურ კრებას, სადაც ხომერიკმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. საქართველოს შესახებ იყო აღნიშნული ფაქტი, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს საკითხი შეიქნა პოპულიარული ევროპის წრეებში. შემდეგ შეკითხვები იქნა მიცემული იმის გარშემო, თუ რანაირი დახმარება შეეძლო აღმოეჩინა ევროპას საქართველოს განთავისუფლების საქმეში. ხომერიკი ლაპარაკობდა, რომ ეს დახმარება შეიძლება იყოს დიპლომატიური ხასიათისა; თუ ეს საკითხი რეალურად წამოიჭრა, მაშინ უმთავრესი ძალები ევროპისა ჩაერევიან დიპლომატიურად და დაგვეხმარებიანო. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ორგანიზაციულ საკითხებთან დაშორებული ვიყავი. მე მახსოვს, აგვისტოს შუა რიცხვებში, როცა კოტე ანდრონიკაშვილმა გააკეთა მოხსენება და სთქვა, რომ ეს არის გადაწყვეტილება ჩვენი, პარიტეტულ კომიტეტისა და მოითხოვდა დასტურს, ცეკაში, სადაც მე არსებითად ვმუშაობდი, მოვიდა კოტე ანდრონიკაშვილი და მითხრა, რომ საჭირო იქნება დებულებების გადამუშავება ან და პარიტეტულ კომიტეტის დავალებების ასრულება. წერილების დაწერა უნდა აიღო. მხოლოდ პასუხისმგებლობა მათი შინაარსისა ჩემი იქნება და თქვენ არა გაქვთ უფლება დაისწროთ პარიტეტულ კომიტეტის სხდომებსო.

თავმჯდომარე:—თქვენ წინასწარ გამოძიების დროს აჩვენეთ, რომ საზღვარგარეთიდან მოსული ფულის მეტი ნაწილი იხარჯებოდა საორგანიზაციო და სამხედრო საქმეებზე.

ონიაშვილი:—მე მაგას ვადასტურებ. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ სულ პარტიულ მუშაობას ხმარდებოდა. 1924 წელში მუშაობის ცენტრი გადატანილი იყო პარიტეტულ კომიტეტში, პარტიული მუშაობა კი შენელდა. მე მოვაწერე ხელი დეკლარაციას, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ შეიარაღებული აჯანყება უარყოფითად მიაჩნია და ერთადერთი გზა მას შემდეგ, რაც მოხდა—ეს არის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზა კულტურულ და ეკონომიურ გზით.

სტურუა:—ამის შემდეგ კი თქვენ ისარგებლეთ საბჭოთა ხელისუფლების ნდობით და პატარა ექსკურსია გააკეთეთ, რა გქონდათ მხედველობაში. თუ თანამშრომლობა გიწევდათ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რად დაგჭირდათ, რომ ასე ბოროტად გამოიყენეთ მისი ნდობა და გაიქეცით საავადმყოფოდან?

ონიაშვილი: მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ ეს არის უბედურება ჩემი, რომ აქ ვლაპარაკობ, ეს არის უაღრესი განცდით და სასოწარკვეთილებით გამოწვეული ნაბიჯი ჩემი ცხოვრებისა. მე არ ვამართლებ იმას, რომ ნებადაურთველად დავანებე თავი საავადმყოფოს, სადაც მე ვიყავი ავადმყოფი და ნერვებაშლილი შვიდი თვის განმავლობაში. შვიდი თვის განმავლობაში მე თავისუფლად ვიყავი საავადმყოფოში, მახლობელნი, ნათესავები მიდიოდენ, მაგრამ ადგილი არ ჰქონია, რომ არალეგალურ მუშაობასთან დამეჭიროს კავშირი. მაშ რათ გადავდგი ეს ნაბიჯი —ეს მოხდა უაღრეს სასოწარკვეთილების დროს. მე მითხრეს, რომ თქვენი საქმე კვლავ გადაეცა სასამართლოსო. საგანგებო კომისიაში კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ბრალდებები იმდენათ სუსტი იყო ჩემს წინააღმდეგ, რომ იქ მეუბნებოდენ და მარწმუნებდენ, რომ შეიძლება სრულებით გაანთავისუფლონო. მე იმედი და მოთმინება აღარ მეყო, ავდექი და (აქ ბრალდებული ღელდება და ვეღარ ათავებს სიტყვას)

ფანოზიშვილი

(32 წლისა, ინტელიგენტი, უპარტიო)

ბრალდებულს მჭიდრო კავშირი ჰქონდა გარე-კახეთში მყოფ წიფურიშვილის ბანდასთან. ის ერთ დროს ამ ბანდაში შედიოდა. ბრალდებული აგრეთვე შეუერთდა ერთ დროს ჩოლოყაშვილის ბანდასაც. ამის შესახებ ის შემდეგს ამბობს:—მე არავითარი განზრახვა არა მქონია შევსულიყავი რომელიმე რაზმში, არ მქონდა არავითარი განზრახვა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო. მაგრამ რომ შევხვდით მათ, უცაბედათ დავრჩი, ვინაიდან ისინი ადგილს არ იცნობდენ. მე მეშინოდა, რომ იმათ რაზმელებს, რომელნიც არ იცნობდენ ადგილს, არ [illegible]. ერთხელ, როდესაც ერთ ბინაზე ვიდექით, მოვიდენ დარაჯები და გვითხრეს: ვიღაც შეიარაღებული ხალხი მოდისო. ქაქუცამ მე მომცა წინადადება: შენ აქაური ხარ, იქნებ იცნობ ვინ არიანო, წადი და გაიგეო. წავედი, იყო რამოდენიმე კაცი სანადირო თოფებით. ვიცანი—ერთი იყო ყოფილი პოლკოვნიკი გულისაშვილი, რამოდენიმე წითელარმიელებით და ერთი ვიღაც კერძო პირი. გულისაშვილი გამოდგა ქაქუცას ძველი მეგობარი. ილაპარაკეს, მოიგონეს წარსული.

მე წავედი ჩემს ათეულში, ისინი დარჩენ საღამომდის და შემდეგ დაბრუნდენ. წიფურიშვილის რაზმიდან გამოსვლის შემდეგ ორი-სამი დღე ვიყავი კიდევ ტყეში. იმ ხანებში გიორგაძე იყო საგანგებო კომისიის რწმუნებული, მას გამოეგზავნა წერილი და მთხოვდა შერიგებას, მაგრამ გიორგაძე გადაიყვანეს თელავში. შემდეგ თოდუას გამოეგზავნა წერილი,—ვიცით ყველა მიზეზები, რომელმაც გაიძულა ტყეში გასვლა, ვიცით აგრეთვე თქვენი მოქმედებები,—და მაძლევდა სიტყვას, არაფერს დამიშავებდენ, თუ შევურიგდებოდი საბჭოთა ხელისუფლებას. ამის შემდეგ მე გამოვცხადდი პოლიტბიუროში ჩემით.

საღამოს სხდომა

გრძელდება მოწმეების დაკითხვა

ბილანიშვილი

(51 წლის, წვრილი მესაკუთრე, მენშევიკი)

აგვისტოს გამოსვლებამდე ბრალდებული მუშაობდა თბილისში. აჯანყების დღეებში კი მან თავი ამოჰყო გარე-კახეთის სოფ. პატარძეულში. თავმჯდომარის შეკითხვაზე—„რა გინდოდათ იქ ამ დროს“, ბილანიშვილი უპასუხებს: „მე იქ ცოლშვილი მყავს გაგზავნილი, წავედი მით უფრო, რომ ყმაწვილი გამხდარიყო ავად, და მომწერეს ჩამოდიო“.

ამავე დროს ბრალდებული არ უარყოფს, რომ აჯანყების წინა დღეებში, თბილისში, მის ბინაზე ვინმე უცნობ ქალმა მიიტანა წერილი, სადაც ეწერა: „შენთან მოვა ლევან კანდელაკი; ის მოგელაპარაკება საჭირო საქმეზეო“. ეს უცნობი კაცი მართლაც მივიდა ბილანიშვილთან, რომლის შესახებაც ის შემდეგს მოუთხრობს სასამართლოს: „თერთმეტი თუ თორმეტი საათი იქნებოდა, მოვიდა ჩემთან უცნობი კაცი თეთრ ტანისამოსში. მეუბნება —თქვენ კოტესგან (ანდრონიკაშვილი) მიიღეთ წერილი? წერილი კი მივიღე, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით? ის მიპასუხებს—„მე ვარ ლევანი, რომელზედაც წერილში სწერდენ“. რომელი ლევანი? ლევან კანდელაკი, შევიპატიჟე სახლში. დავსხედით, ვილაპარაკეთ; მეუბნება—მე კოტემ გამომგზავნა, დანიშნული ვარ მთელ კახეთში. თქვენ უნდა მიჩვენოთ სამი თუ ოთხი სანდო პირი, რომელიც ამ საქმეში გამომადგება.

ვეკითხები—რისთვის. ამას შემდეგ შეგატყობინებთ. ამით გათავდა ჩვენი საუბარი. ამავე დროს ერთმა ყოფილ ოფიცერმა გაიგო ჩემი სოფელში ჩასვლა, იქვე ახლო დგას, და მოვიდა ჩემ სანახავად. სხვათა შორის, როცა შეხედა „უცნობ კაცს“ მათ ერთი მეორეს გაუცინეს. მე ეს გაცინება არ ვიცოდი, რას ნიშნავდა. ჩამოართვეს ხელი ერთი მეორეს.

ჩვენ კიდევ ერთ ხანს ვილაპარაკეთ, ბაასი გვქონდა იმაზე, თუ როგორ უნდა მეჩვენებინა ლევან კანდელაკისათვის ეს საქმეში გამოსადეგი კაცი.

სწორედ ამ დროს გამოიარა ერთმა ყოფილმა გვარდიელმა, რომელსაც წინედ ვიცნობდი. საეჭვოთ პიჯი იყო, გვარდიაში ნამსახური, მით უმეტეს ჯარში ნამყოფი. გავაცანი ის ამ კაცს, რომელიც ცდურია აღმოჩნდა. ეხლა გავიგე და უთხარი—თუ გინდა სანდო პირი, აი ერთია ასეთი მეთქი, კიდევ საჭიროა ორი ან სამიო. ამავე დროს მე გავგზავნე ყმაწვილი მეზობლებთან, ყმაწვილი, რომელთანაც გავაგზავნე, სახლში არ დამხვდა. მოვიდა მხოლოდ საღამოს. ეს გახლავთ ვანო ცხარიაშვილი.

ვანო ცხარიაშვილს კარგად არ ვიცნობ. ვიცი კი, რომ გვარდიაში მსახურობდა. გარდა ამისა მე კიდევ გავაცანი ჩამოსულ კაცს თათარიშვილი. ისხდენ, ლაპარაკობდენ ორი საათის განმავლობაში, ვისადილეთ და, რადგან დიდი ოჯახი მყავს, ადგილი არ იყო სტუმრის შესანახი. ყოფილ ოფიცერ თათარიშვილმა გვითხრა—ბინა მე მაქვს ნაშოვნიო და წავიდა.

წასვლისას მოვიდა ერთი კაცი. შაქრო ერქვა. გვარი არ ვიცი. ელაპარაკა ამ ლევანს, და მე უნდა მოგახსენოთ, რა ელაპარაკა, არც ის ვიცი, რადგან სახლში ვიყავი; სხვა სტუმრებიც მყავდა და მათთან ველაპარაკობდი“.

სოფ. პატარძეულში გამოსვლებს თვით ბილანიშვილი მეთაურობდა. განზრახვა იყო პატარძეულის აღების შემდეგ საგარეჯოსაკენ წასულიყვნენ იერიშით, მაგრამ კომუნარებთან პირველ შეტაკებისთანავე ბილანიშვილის „რაზმი“ მიმოიფანტა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ბილანიშვილი სამეგრელოში გაიპარა და იქ, სანამ მას დააპატიმრებდენ, ერთი თვე სცხოვრობდა არალეგალურად.

ხურციძე.

(25 წლის, მენშევიკი).

ბრალდებულს ჰქონდა კავშირი გარე-კახეთში მობინადრე ბანდებთან და მენშევიკურ პარტიის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა მათთან.

ამის შესახებ ის შემდეგს აცხადებს: „მე ვიცოდი არსებობა წიფურიშვილის რაზმის, იქაურ სოფლელ ამხანაგებმა გადმომცეს, იყო 7 თუ 8 კაცი, დაახლოვებით. მე მაინტერესებდა, რა თქმა უნდა, ეს საკითხი. მაშინ თბილისის მაზრის კომისიის წევრად ვითვლებოდი. დავალებული მქონდა სართიჭალაში და საგირეჯოში მუშაობა. წიფურიშვილი კი თავის ბანდით იყო ამ რაიონში და მისი იქ ყოფნა მიშლიდა ხელს არალეგალურ მუშაობაში იმიტომ, რომ მისი არსებობა უხებლიედ იწვევდა ადმინისტრაციის მხრივ დიდ რეპრესიებს და ეს, ცხადია, ჩვენც ხელს შეგვიშლიდა. მაგალითად, ჩვენ ხშირი მიმოსვლა გვქონდა სოფლებიდან სოფლებში და ასეთ რეპრესიების დროს მიმოსვლა სახიფათო იყო.

ამისათვის დავადგინეთ, თუ შევძლებდით, მოგვეხდინა ამ ბანდის ლიკვიდაცია. ამ მოსაზრებით ხაშმის ამხანაგებს დავავალეთ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, შეხვედროდენ წიფურიშვილს ან მეყემსების, ან ვისიმე საშუალებით და გადაეცათ მისთვის, რომ წასულიყო სხვაგან საცხოვრებლად. მაგალითად, სათათრეთში მეყემსად ან სხვა საქმეზე.

ეს იყო, რამდენადაც მახსოვს, 1923 წლის თებერვალში. დაახლოვებით, აპრილის რიცხვებში, ჩამოდის ჩემთან ერთი პროვინციელი ამხანაგი და მეუბნება—ჩვენ ვერაფერი გავაწყვეთ და იქნებ შენ იქონიო მასზე გავლენაო.—დავსთანხმდი წავსულიყავი წიფურიშვილთან. თუ შევძლებდი, რასაკვირველია, მე არ დავიშურებდი არაფერს დავალების სისრულეში მოსაყვანად.

ეს იყო, დაახლოვებით, 23 აპრილს, თუ არ ვცდები. მივედი გადმომცეს, რომ იქ იყო მარტო ორი კაცი. ბანდა აღარ არისო. გამეხარდა, რადგანაც ორ კაცთან უფრო ადვილად მოვახერხებდი შეთანხმებას. ჩემ შეკითხვებზე—სად არიან სხვები—მიპასუხეს, რომ იყვნენ ვილაცეები, მაგრამ დაიშალნენ და დარჩა ორი კაციო.

მოვახერხე წიფურიშვილის ნახვა. წინადადება მივეცი,—აუხსენი მდგომარეობა, ვეუბნებოდი მისი გარე-კახეთში დარჩენა არც ჩვენთვის არის სასარგებლო და არც მას უქადის სარგებელს. ურჩიე გადასულიყო სხვაგან, დაუსახელე სათათრეთი. რამდენადაც მე ვიცოდი, მენშევიკების დროს ის სათათრეთში იყო. მე უთხარი შეიძლება წასულიყო იქ ან სხვაგან. მითხრა—დავფიქრდები და შეგატყობინებო. დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მომცა. ავდექი და წამოვედი.

ამასთანავე მე ფურცლები მქონდა წაღებული თან, გადავეცი საგარეჯოს ამხანაგებს და დავბრუნდი ტფილისში. რამდენიმე ხნის შემდეგ ხაშმელ ამხანაგებმა გადმომცეს, რომ წიფურიშვილი აღარ გვეკარება და უნდობლობის თვალით გვიყურებსო.

თავმჯდომარე: თქვენ ვისი სახელით ელაპარაკებოდით ამ რაზმს, პირადათ თქვენი, თუ პარიტეტის დავალებით?

ხურციძე: მე გავეცანი წიფურიშვილს, რომ ვიყავი არალეგალური მომუშავე. ამასთანავე ავუხსენი, რომ ის ხელს უშლიდა ჩვენს მუშაობას, ვნებდა ხალხს და, თუ მას რამეთ მიაჩნდა ან ხალხის, ან საზოგადოების ინტერესები, უნდა აელო ხელი გარე-კახეთში მუშაობაზე.

გარდა ამისა, როგორც ირკვევა ხურციძის შემდეგ ჩვენებიდან, მისი საშვალებით მენშევიკურ ცეკას კავშირი ჰქონდა გაბმული კავკავთან, სადაც ორგანიზაციების მოსაწყობათ და არალეგალურ მუშაობისათვის, საქართველოდან გაგზავნილი იყო საგანგებო კაცი.

აჯანყების დღეებში, ხურციძეც საგარეჯოში იყო. იცოდა, რომ გამოსვლები მზადდებოდა და მონაწილეობაც უნდა მიეღო ამ გამოსვლებში, მაგრამ, როგორც ვიცით, საგარეჯოში აგვისტოს გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია.

ნაცვლიშვილი

(68 წლის, ყოფილი აფიცერი, უპარტიო)

გამოსვლების დღეებში ის სიღნაღის მაზრის სოფელ პრასიანში სცხოვრობდა, აჯანყების შესახებ მას ლაპარაკი ჰქონდა მასწავლებელ ყაზბეგთან, რომელიც აიმედებდა ბრალდებულს, რომ ევროპიდან ელიან საფრანგეთისა და ვრანგელის ჯარებსო.

თავმჯდომარე: ჩოლოყაშვილს იცნობდით თქვენ?

ნაცვლიშვილი: როგორ არა, ორი წლიწადი ჩვენ პოლკში იყო, ჩემ უფროს აფიცრათ ითვლებოდა.

[illegible] შემდეგ, ტყე-
რომ [illegible] არ ვინახავთ?

ნაცვლიშვილი: 1921 წელში იყ
ჩემთან, ხელმეორეთ მეწვია 19
წლის იანვარში თუ თებერვალ
არ მახსოვს კარგათ.

ის მაშინ, როგორც გადმო
სამსახურში იყო და საქონლის
ყიდლად ჩამოვიდა.

თავმჯდომარე: როდის გითხ
თქვენ ჩოლოყაშვილმა, რომ შე
გინათ პარტიზანული რაზმი?

ნაცვლიშვილი: უკანასკნელ
რომ იყო—მაშინ მითხრა, რომ
პირებ რაზმის შედგენასო, ჩემთ
არ უთქვამს—შეადგინე რაზმიო.

ოკუჯავა. (სახელმწიფო ბრალმ
ბელი) 1921 წელს დეკემბერში თქ
ნი სიტყვით, თქვენთან იყო ჩოლ
ყაშვილი, ვინ ახლდა მას კიდევ
შინ?

ნაცვლიშვილი. სიმონიკა ბაგ
ტიონ-მუხრანსკი. ისიც ჩემი პ
კის ყოფილი ოფიცერი.

ოკუჯავა. ჩოლოყაშვილმა გი
რათ, თუ არა, რომ ის დანი
ცენტრმა ტყეში გასასვლელად,
ავალა რაზმის შედგენა და ს
ასეთები?

ნაცვლიშვილი. ეს 1922 წელ
იყო. მან სთქვა—უნდა გავიდე ტ
შიო. ცენტრმა დამნიშნა რაზ
შემდგენელათო.

გრიგოლ ცინცაბაძე

(41 წლის. მენშევიკი)

ბრალდებული არალეგალურ მ
შაობისათვის 1922 წლის ოქტ
ბერში, სხვებთან ერთად, გადას
ლებული იყო ევროპაში. საქართ
ლოში დაბრუნების შესახებ ცინცაბაძე ამბობს:

„—პარიზში ყოფნის დროს
განვაცხადე სურვილი სამშობლო
პარტიაში სამუშაოთ დაბრუნებ
შესახებ. დავალება არ მქონია.
თვითონ განვაცხადე და ისინიც წ
ნააღმდეგ არ წასულან. პარტია
მუშაობას ვერავინ ვერ მიკრძალავ

კერძოთ, აჯანყების შესახებ ცინ
ცაბაძე აცხადებს, რომ მან ეს ამ
ბავი იცოდა და ამის შესახებ და
ძენს:

„—მე პირადათ არ ვაწყობდ
აჯანყებას, რადგან სამხედრო პირ
არა ვარ, მაგრამ ვმუშაობდი პარტი
ულ ორგანიზაციებში დღიდან სა
ქართველოში ჩამოსვლისა, ვიყავ
თბილისის კომიტეტის თავმჯდომა
რე. ყველა ორგანიზაციებს, რომე
თანაც მე ვიყავი დაკავშირებულ
ვაძლევდი სათანადო დირექტივებ
პარტიული მუშაობის გარშემო“.

„—ვაწყობდი გვარდიელებით
პარტიულ ორგანიზაციებს და ვფ
რობდი, რამდენათ ძლიერი იქნებო
და ორგანიზაციები, იმდენათვე ძლ
ერი იქნებოდა, სამხედრო საქმე
აჯანყების ხელმძღვანელობა მ
ეკისრებოდა, ვინც სამხედრო ორგა
ნიზაციაში იყო. მე კი ამ ხელმძ
ვანელებს გადავცემდი მომზადებუ
ხალხს“.

აჯანყების დამარცხების შესახ
ცინცაბაძე ამბობს.

„—მე ჯერ დაჭერამდე, სანამ სა
განგებო კომისიაში მოვხვდებოდ
გავიგე, რომ აჯანყება დამარცხ
ხადია, მე აჯანყება წარმოდგენი
არ მქონდა ისე, რომ ის უსათუ
გამარჯვებით უნდა დამთავრებულ
ყო. რასაკვირველია, გამარჯვება მ
დოდა, მაგრამ აჯანყება დამარც
ხდა“.

„—ამის შემდეგ, რადგან გარ
ვიყავი, მე თვითონ გადავდგი ნაბ
ჯი, რომ როგორმე, სადაც კი აჯან
ყება გრძელდებოდა, შემეჩერები
სისხლისღვრა და მივიღე მონაწ
ლეობა მოძრაობის ჩაქრობაში. ს
მისოთ გავგზავნე კიდევაც საგანგე
ბო დავალებით კაცი.

როდესაც ჩამოდიოდენ ამა თუ ი
კუთხიდან და გვეკითხებოდენ—
ვქნათო, მე იქაურ ორგანიზაციებ
ვუთვლიდი—გაჩერდით, ბრძოლ
თავი დაანებეთ. ეცადეთ მშვიდობ
ანათ დაბრუნდეთ. მაშინ კიდევ ა
იყო ბრძოლა გათავებული“.

„—გარდა ამისა მე მყავდა ძვე
ამხანაგები ბოლშევიკები და ვიფ
რე მათთვის მიმემართა, რომ მა
დახმარებით როგორმე ზომები მ
მეღო ამ აჯანყების ჩასაქრობა
ამასობაში უკვე გავიგე დამოუკიდ
ლობის კომიტეტის დატუსაღე
მეორე დღეს გამოქვეყნებული ი
მათი დეკლარაციაც. ეს დეკლარ
ცია, მიუხედავად იმისა, რომ ა
ვიცი, რა პირობებში დაიწე
ვცანი დროულათ და მიზანშეწონ
ლად. სხვაფრივ არც შეიძლებო
მოქცევა.

„—ამას თან მოჰყვა მთავრობ
განკარგულება,—რომ ჩვენ ვაპატ
ებთ იმათ დანაშაულს, ვინც მშვ
დობიანი გზით დაბრუნდება.
ვისარგებლე ამით, გავგზავნე ხალ
სოფლათ, რომ ყველა, ვინც გაბ
ნულია, შერიგებოდა მთავრობას“.

„—დეკლარაციას მე ვთვლი
დამარცხებულ ძალების ერთგვ
დემობილიზაციათო“.

ბრალდებულ გრ. გიორგაძის ჩვენების გამო

ვინაიდან ბრალდებულ გრიგ
გიორგაძის ჩვენების ბოლო სხვა
სხვა გაზეთებში სხვადასხვანაირ
არის მოყვანილი, რედაქცია აქვე
ნებს მისი ჩვენების ამ ნაწილის სტ
ნოგრაფიულ ანგარიშს:

„მან სთქვა—საერთოდ უნდა ვა
აროთ, რომ პირადათ ჩემი პოლიტ
კური მოღვაწეობა გათავებულა
არაფრის გაკეთებას პოლიტიკა
შემდეგში აღარ ვფიქრობ“.

გამოვიდა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი“ №2

შინაარსი.

მ. ორახელაშვილი—მუშურ-გლეხური საკავშირო სახელმწიფო
გ. ბახტაძე—სოფლად მუშაობის საკითხები.
გ. მუშიშვილი—საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი მომენტები.
ა. ურუშაძე—პარტიულ უჯრედების მუშაობა სოფლად.
ალ. პაპავა—1925—26 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.
გ. დარახველიძე—კომკავშირის საკავშირო კონფერენციის შედეგები.
ადგილობრივი ცხოვრება და ბიბლიოგრაფია.

დღეს ხუთშაბათს, ივლისის 30, საღამოს 5 საათზე დანიშნულია

რემედას-ის საქ. ცეკას პრეზიდიუმის სხდომა

(რუსთაველი № 22).

დასწრება ყველა წევრებისათვის აუცილებელია

რემედასის საქ. ცეკას პ | მგ. მდივნის მაგიერ გ. წულეისკირი.
1—1.

გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

საუბარი გზა და გზა

ტაგანროგი, 28 ივლისი. დღეს დილით გერმანიის დელეგაცია გემ „ფანაგორიათი“ გაემგზავრა როსტოვიდან ტაგანროგისკენ. რკინის გზის ლიანდაგზე ერთმა ჰამბურგელმა დელეგატმა შეამჩნია ორთქლმავალი, რომელიც გაუკეთებიათ იმ ქარხანაში, სადაც ის მუშაობს. ის სიამოვნებით მოუთხრობს, თუ 1922 წელში როგორ ამზადებდენ 700 ორთქლმავალს საბჭოთა კავშირისათვის.

სოც.-დემოკრატი დელეგატები დიდის აღტაცებით მოუთხრობენ საბჭოთა კავშირში ყველაფერ ნახულის შესახებ. ზოგიერთი დელეგატი კიდევაც ფიქრობს რუსეთში დარჩენაზე.

სოც.-დემოკ. ბროტაგი ამბობს, რომ ის მიდის რუსეთიდან გაკომუნისტებული.

შემდეგ ბროტაგი ამბობს: „მე კიდევ დავრჩები პარტიაში, რომ ვუამბო მუშებს აქ ნახული სინამდვილე. მუშები მე დამიჯერებენო“.

დელეგაციის თავმჯდომარე ბეკმა სთქვა: „ჩვენ გვეგონა გვაჩვენებდით მხოლოდ რაც კარგია. მაგრამ ჩვენ ყველაფერი გამოვიძიეთ საფუძვლიანათ და აღტაცებულიც დავრჩით. ჩვენ ახლა სავსებით გამოვიცვალეთ აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ.“

შემდეგ დელეგატებმა ისევ გაიმეორეს ფიცი, რომ ყველაფერს ილონებენ მუშათა ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ.

ტაგანროგში

ტაგანროგი, 28 ივლისი. გერმანიის დელეგაციას დიდის ზეიმით შეეგებენ ნავთსადგურზე ადგილობრივი ორგანიზაციები და მუშები. ჯგუფებათ დაყოფილმა დელეგატებმა დაიწყეს ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერება, სადაც მუშები დიდის ინტერესით ხვდებოდენ. შუადღისას ქალაქის ბაღში გაიმართა დიდი მიტინგი დელეგატების მონაწილეობით.

არტემოვსკში

არტემოვსკი. 29 ივლისი. ჩამოვიდა გერმანიის დელეგაცია, რომელსაც სადგურზე შეეგებენ პროფკავშირები და მრავალი ხალხი.

შრომის სასახლეში დელეგაციის პატივსაცემოთ გაიმართა დიდი მიტინგი, დელეგაციის სახელით ილაპარაკა ოფერგაგენმა, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევანი.

მიტინგის შემდეგ ჯგუფებათ დაყოფილი დელეგატები წავიდენ მარილისა და ქვა-ნახშირის მადნების დასათვალიერებლათ, ერთი ჯგუფი კი გაემგზავრა დონბასის უდიდეს მაღაროს დასათვალიერებლათ—გორლოვკაში.

დელეგაციის ნაწილის დაბრუნება გერმანიაში

ლენინგრადი, 28 ივლისი. დღეს მოსკოვიდან ჩამოვიდა დელეგატების ერთი ჯგუფი, რომელიც ზღვით მიემგზავრება შტეტინში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ქიმიკოსების ხელფასის გადიდება.

მოსკოვი, 29 ივლისი. ქიმიკოსთა პროფკავშირის ცეკას განზრახული აქვს მთელი წლის განმავლობაში ქიმიკოსთა ჯამაგირის მომატება 28,5 პროცენტით.

შაქრის ქარხნების ამუშავება.

მოსკოვი, 29 ივლისი. საბჭოთა კავშირის ე. ს. საბჭომ ნება მისცა შაქრის ტრესტს დაუყოვნებლივ აამუშაოს შაქრის 26 ახალი ქარხანა.

შავი-ქვის მადნები.

სევასტოპოლი, 29 ივლისი. სევასტოპოლის მახლობლათ აღმოჩენილია შავი-ქვის მდიდარი მადნები, რომელიც თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება საქართველოს მარგანეცს.

ესპერანტისტების საერთო-საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი, 28 ივლისი. 26 ივლისს გაიხსნა ესპერანტისტების საერთო საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 80-დე დელეგატი.

ლენინგრადელ სტუდენტების გამგზავრება ევროპაში.

მოსკოვი, 28 ივლისი. ინგლისის მთავრობამ ნება დართო ლენინგრადის პოლიტეხნიკუმის სტუდენტების ერთ ჯგუფს ინგლისში შესასვლელათ.

სტუდენტები მოივლიან ინგლისს, საფრანგეთს და გერმანიას.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემია.

მოსკოვი, 28 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა—რუსეთის სამეცნიერო აკადემია აღიარებულ იყვეს უმაღლეს საერთო საკავშირო სამეცნიერო დაწესებულებათ. ამის შემდეგ აკადემიას ეწოდება—საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემია.

ზედმეტი პური ციმბირში.

ნოვო-ნიკოლაევსკი, 29 ივლისი. პურის ზედმეტი მოსავალი ციმბირში განისაზღვრება 75 მილიონი ფუთის რაოდენობით.

ბელორუსია

პოლონელი ჯაშუშის საქმე.

მინსკი, 29 ივლისი. სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა დახვრეტა პოლონელ ჯაშუშს და პროვოკატორ ქაბინსკის ყოფილ კომუნისტს, სამხედრო კომისარიატის მიმღებ რადიო-სადგურის მოსამსახურეს მინსკში, რომელსაც ბრალად ედება ბანდების შექმნა და სხვა ბოროტმოქმედებები.

უკრაინა

საპრონოვის და დიტმარის სასჯელის შეცვლა.

ხარკოვი, 29 ივლისი. სრულიად უკრაინის ცაკმა მთავარ ბრალდებულებს ხერსონის ადმინისტრატიულ განყოფილებისას საპრონოვს და დიტმარს უმაღლესი სასჯელი (დახვრეტა) შეუცვალა 10 წლის ციხეთი.

ლენინის სახელობის პრემიები მეცნიერულ შრომებისთვის

მოსკოვი, 26 ივლისი. რომ წაქეზებულ იქნეს მეცნიერული მოღვაწეობა ლენინის იდეების საფუძვლებზე, სახელდობრ—მეცნიერების ცხოვრებასთან დაკავშირებით, სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: დაარსდეს ფონდი ლენინის სახელობის პრემიების დასარიგებლათ მეცნიერულ შრომებისათვის. პრემიების ყოველწლიური ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 10.000 მან.

პრემია გაიცემა საბჭოთა კავშირის მოქალაქეების (ყოველი დარგის) მეცნიერულ ნაშრომებისთვის, რომლებიც დაწერილი იქნებიან 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ: ბუნების მეტყველებიდან, ტეხნიკიდან, სასოფ.-მეურნეობიდან, მედიცინიდან და საზოგადო მეცნიერებიდან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აბრეშუმის დამზადების კამპანია.

ქუთაისი, 29 ივლისი. დამთავრდა აბრეშუმის დამზადების კამპანია.

სულ საქართველოში შეკრებილია 103.000 ფუთი პარკი, რომლიდანაც დაახლოვებით 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

აჭარისტანი

პასტერის სადგური.

ბათომი, 29 ივლისი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ბათომში გახსნა პასტერის სადგური. სადგურის მოწყობილობა [illegible] უცხოეთიდან და დაჯდა 20.000 მანეთი.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კომუნისტების მობილიზაციის შესახებ სოფლად სამუშაოდ

მოსკოვი, 29 ივლისი. კომუნისტების მობილიზაციის ჩასატარებლათ სოფლად სამუშაოთ, რ. კ. პ. ცეკამ გამოიტანა დადგენილება, სადაც წინადადებას იძლევა როგორც პარტიულ მუშაობაში, ისე პრესაში უდიდესი ყურადღება მიექცეს სოფლისთვის ღირსეულ მუშაკების გამოძებნას.

ცეკა განსაკუთრებით აღნიშნავს შემდეგ მომენტებს: პოლიტიკური მნიშვნელობა სოფლისათვის მუშაკების მობილიზაციის კამპანიისა და პარტორგანიზაციების მუშაობის გაძლიერება ამ დარგში; სოფლად გასაგზავნ მუშაკების ღირსეულათ მომზადება; პარტორგანიზაციების მიერ ყოველგვარი დახმარება სოფლად გასაგზავნ მუშაკებისათვის; პარტორგანოების მიერ გაძლიერებული თვალყურის დევნება სოფლის მუშაკების ნაყოფიერად გამოყენებისათვის.

საბინაო კრიზისის მოსპობა

მოსკოვი, 26 ივლისი. კომპარტიის ცეკამ საბინაო კრიზისის მოსპობის საკითხის შესახებ დაადგინა: პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი ყურადღება პირველ ყოვლისა მიქცეული უნდა იყოს მუშების საბინაო კრიზისის მოსპობისაკენ. ამისათვის ყოველნაირათ ხელი უნდა შეეწყოს მუშათა საცხოვრებელ ბინების აშენებას როგორც დიდ ქალაქებში, ისე სამრეწველო ცენტრებში. საბინაო კოოპერატივების გასაძლიერებლათ პირველ ყოვლისა საჭიროა, ჩაბმულ იყვენ ამ საქმეში საწარმოვო და ტრანსპორტის მუშები, რომლებიც თავიანთ საკმაო ხელფასისა და სხვა პირობების გამო ყველაზე დიდ მონაწილეობას მიიღებენ საბინაო აღმშენებლობაში და საალმშენებლო კოოპერატივების საპაიო თანხის გადიდებაში.

მუშათა საბინაო კოოპერაციის კეთილდღეობისათვის საჭიროა მისი უმახლობელესი დაკავშირება და მუშაობის შეთანხმება ცენტრ. საბინაო კავშირთან, პროფკავშირების ცენტრ. საბჭოსთან და სახ. მეურნეობის საბჭოსთან. საბინაო ბანკის მიერ კრედიტების გაცემის დროს საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა საბინაო კოოპერაციას.

პარტია და კომკავშირის ლენინური აღზრდა

ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზრდობის მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება. ეს გარემოება პარტიის წინაშე აყენებს კომკავშირის მოძრაობის ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს.

ახლო მომავალში კომკავშირის რიგებიდან უნდა გამოიყოს მთელი კადრი ახალი მუშაკებისა, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობას და ხელი შეუწყონ რევოლიუციის გაღრმავებას.

და რამდენად უკეთ იქნება დაყენებული ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზრდობის ლენინური-ბოლშევიკური აღზრდის საქმე, იმდენად ჩვენი რევოლიუციის შემდეგი განვითარება შეგვიძლია უზრუნველვყოთ შესაფერისი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი ამხანაგებით.

მართალია, უკანასკნელ ხანებში პარტიამ გააძლიერა თავისი ყურადღება ახალგაზრდობაზე, მაგრამ დღემდე იგი ძირითადი, პრინციპიალური საკითხების ხელმძღვანელობის იქით არ მიდიოდა.

რა აკლია ჩვენ კომკავშირს ამ მხრივ დღეს?

კომკავშირის ადგილობრივი უჯრედების უფროსი ამხანაგების მხრივ არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება.

ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა, რომ ჩვენი პარტიის თვითეული წევრი კომკავშირის წინაშე ვალდებულათ სთვლიდეს თავს გაუზიაროს ამ ორგანიზაციას თავისი ცოდნა და გამოცდილება.

მართალია კომკავშირის წევრთა საგრძნობი ნაწილი ჩაბმულია ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხვადასხვა სამუშაოებში, მაგ. კოოპერაციაში, საბჭოებში, გლეხკომებში, კომკავშირის წევრები მონაწილეობას იღებენ საწარმოო თათბირებში და სხვა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, კომკავშირის სწრაფი ზრდისა და მისი წევრების სხვადასხვა სოციალური შემადგენლობის გამო, მასში ხშირია ისეთი ავადმყოფური მოვლენები, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა კომკავშირის აქტივს უნდა გაუადვილოს პარტიამ თავისი ორგანიზაციული ჩარევით.

პარტიული გავლენის განმტკიცებისათვის კომკავშირში კი საჭიროა პოლიტგანათლების გაძლიერება. ამისათვის პარტიას მართებს, რომ შემოდგომაზე, როდესაც კომკავშირის პოლიტწრეები განაახლებენ მუშაობას, გაგზავნონ იქ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები.

მეორეს მხრივ კი საჭიროა პარტიამ ხელი შეუწყოს კომკავშირის წევრების კიდევ უფრო მეტად ჩაბმას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, რომ მით კომკავშირელი პრაქტიკულად შეეჩვიოს სოციალიზმის შენებას.

პარტიასა და კომკავშირს შორის მეტი მჭიდრო კავშირის დამყარებით ჩვენ ხელს შევუწყობთ ჩვენი ახალგაზრდობის ლენინურ აღზრდასაც და უფრო უკეთ აღმოვფხვრით კომკავშირის მუშაობაში არსებულ უარყოფით მოვლენებს.

მ. ეფრონსინეშვილი.

გლეხკომების მუშაობის გასაჯანსაღებლად

ყველა სამაზრო სათემო და სასოფლო გლეხკომებს

ცირკულიარულად

საქართველოს ცაკში, სახალხო კომისართა საბჭოში, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში და სხვა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში შედის აურაცხელი საჩივრები გლეხკომების უკანონო მოქმედების შესახებ. გლეხკომები სჩეხავენ ტყეებს, ტყის გამგისაგან წინასწარ ნებართვის მიუღებლათ, თვითნებობით ართმევენ პატრონებს წისქვილებს, მიწებს, ახდენენ არაყის და ღვინის კონფისკაციას ვითომ აქციზის გადაუხდელობის გამო, საზოგადოებრივ სასადილოების მაგივრათ ხსნიან ნამდვილ სამიკიტნოებს, ერევიან ალმასკომების ადმინისტრატიულ უფლებებში, ძირს სცემენ კოოპერაციის ავტორიტეტს და ხელს უშლიან მის მუშაობას და სხვა. ამასთანავე გლეხკომების წევრებს და თავმჯდომარეებს სრულებით შეუფერებლად უჭირავთ თავი: ლოთობენ, გართულნი არიან სააზარტო თამაშით, ახდენენ დებოშებს და სხვა და ამგვარათ სცემენ გლეხკომის ავტორიტეტს.

გლეხკომების ასეთ უკანონო ანტისაბჭოთა მოქმედებას და მათი წევრების შეუფერებელ საქციელს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებები არიან წმინდა საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციები, რომელთა მიზანია გააძლიერონ მშრომელი გლეხობის თვითმოქმედება გლეხთა კეთილდღეობის ასამაღლებლათ. ამ მუშაობის დროს გლეხკომებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისონ ხელისუფლების ორგანოთა ადმინისტრატიული უფლებები, პირიქით—ყოველგვარათ ხელი უნდა შეუწყონ ხელისუფლების ორგანოებს მათ მუშაობაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ სასოფლო მეურნეობის ასაყვავებლად და სოფლად რევოლიუციონურ კანონიერების გასამაგრებლათ.

გლეხკომებმა თავიანთი მუშაობის დროს უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1925 წლის იანვრის 20-ს დამტკიცებული დებულებით გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა შესახებ და აგრეთვე სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის და ცენტრალური გლეხკომის ცირკულიარებით.

თუ მომავალშიც ექნება ადგილი გლეხკომის უკანონო მოქმედებას, მთელი მისი შემადგენლობა მიცემული იქნება სასტიკ პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი კ. ხომერიკი.
საქმეთა მმართველი ი. ბახტაძე.
საორგან. საინსტრ. განყ. გამგე ათაბეგოვი-თუმასი.
1925 წ. 25 ივლისი.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

სამტრედიის აბრეშუმის ფაბრიკა.

ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით სამტრედიაში არსებული აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა დროებით დარჩა საზოგადოება „აბრეშუმი“-ს გამგებლობაში.

დაევალა საზ-ბა „აბრეშუმ“-ს სასწრაფო წესით აამუშაოს ზემოხსენებული ფაბრიკა. ფაბრიკის მუშაობისათვის საჭირო სალსარის მიღების მიზნით გაეხსნა საზ-ბა „აბრეშუმს“ სათანადო კრედიტი.

სამრეწველო ბანკის სააგენტოების გახსნა.

ნება დაერთო სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კანტორას გახსნას თავისი სააგენტოები ან განყოფილებანი ჭიათურაში და ფოთში.

თბილისის კომუნალური ბანკის შუამდგომლობა.

ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო თბილისის კომუნალურ ბანკს გახსნას თავისი განყოფილებანი სოხუმსა და ცხინვალში, უკეთუ ადგილობრივი ხელისუფლება ამას საჭიროდ სცნობს.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის მოწყობა.

აღიძრა შუამდგომლობა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა სენაკის ალმასკომს მიეცეს სათანადო ლიცენზია საზღვარ-გარეთიდან იმ მანქანების შემოსატანად, რაც წარმოადგენს აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებას და რაც ს.ს.რ. კავშირში არ მოიპოვება.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მოწესრიგება

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელი შერეული კომისიის მუშაობა ნაყოფიერათ მიმდინარეობს.

19 ივლისს ორივე დელეგაცია შეუდგა საზღვრების დაწესებას ფოცხოვ-ჩაის რაიონში. ამ რაიონში საზღვრების დაწესების შემდეგ დადებული იქნა ხელშეკრულება საძოვრების საკითხის შესახებ.

ივნისის ბოლო რიცხვებში საზღვრების მომწესრიგებელი შერეული კომისია შეუდგა საზღვრების დაწესებას ადგილობრივ სოფელ ბადელასა და ორჯოხანს შორის.

იმის გამო, რომ ბადელის რაიონში საზღვრების ხაზი, ყარსის ხელშეკრულების თანახმათ, მიყვება ყოფილ ბრძაგანის ოლქის საზღვარს, ამიტომ მიწის ნაკვეთები, რომლებიც ამ რაიონში მდებარეობენ, რჩებიან დაწესებული საზღვარის ორივე მხარეზე.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შელახულია ორივე სოფლის—ბადელას და ორჯოხანის ინტერესები და ორივე დელეგაცია იძულებული იყო დიდი დრო დაეკარგა ამ საკითხის შესასწავლათ.

ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება ორივე ქვეყნის სასარგებლოთ, კერძოთ, ორივე სოფლის—ბადელას და ორჯოხანის ინტერესებთან შეფარდებით.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის შერეული დელეგაციის მუშაობის გარშემო

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელ შერეულ კომისიის სა[illegible]რო დელეგაციის შემადგენლობიდან გამოვიდა ამხ. ისააკოვი. მის [illegible] დაინიშნა ამხ. ჟურბა.

კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება

საკითხი კვალიფიციური მუშა-ხელის შესახებ მეტად მწვავეთ სდგას საქართველოში. მოთხოვნილება ასეთ მუშაკებზე დიდია. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ზეინკლებზე და ხარატებზე, რომლებიც ჩვენ მეტად ცოტა გვყავს წარმოება-ქარხნებში.

ჩვენი მრეწველობა დღითი-დღე იზრდება, ამასთანავე იზრდება მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა-ხელზე. ეს მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება შემდეგ წლებში, როდესაც ჩვენი წარმოება უფრო მასიურ ხასიათს მიიღებს.

ამჟამათ საქართველოს მრეწველობა კვალიფიციური მუშაკებით დაკმაყოფილებულია მხოლოდ 50 პროცენტით. ხშირად ჩვენი სამეურნეო ორგანოები იძულებული არიან ცდილი ოსტატები და საერთოდ კვალიფიციური მუშაკები მოიწვიონ რუსეთიდან.

კვალიფიციური მუშა ხელის შემცირებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეები არ სწავლობენ ხელობას. მართალია, ისინი ხალისით ესწრებიან ამ მიზნით გახსნილ სპეციალურ კურსებს, მაგრამ ეს ხალისი მათ ბოლომდი არ მიჰყვებათ; ორი სამი თვის შემდეგ ისინი თავს ანებებენ მეცადინეობას და ვერ ასწრებენ ხელობის შესწავლას.

1924 წლის ივნისში დაზგასთან მდგომ მუშების გადასამზადებლათ და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლათ დაარსებული იყო პროფესიონალურ-ტეხნიკური კურსები, რომელზედაც სხვადასხვა კავშირებიდან გაგზავნილი იყო: მელითონეები—29 კაცი, რკინისგზელები—17, კომუნალური დარგის მუშაკები—7, ტრანსპორტელები—9 და საბჭოთა მუშაკები—3.

კურსების პროგრამაში შედის საგნები, რომლებიც დაკავშირებულია ლითონის დამუშავების და ელექტრო-ტეხნიკურ მრეწველობასთან.

სწავლების მეთოდია—ლაბორატორიული, თეორიული საკითხები კი მუშავდება აუდიტორიაში; ამასთანავე კურსანტები არჩევენ და სწყვეტენ საკითხებს თვით სახელოსნოების პრაქტიკიდან.

კურსებს აქვთ კარგათ მოწყობილი ქიმიური ლაბორატორია და ლითონების მდიდარი მუზეუმი. არის აგრეთვე შინაგანი წვის მამოძრავებელი და ბიბლიოთეკა.

28 ივლისს მოხდა კურსანტების პირველი გამოშვება. კურსები დაამთავრა 15 კაცმა, რომელთაგან 4 შევიდა მუშფაკზე, დანარჩენები კი დაუბრუნდებიან წარმოებას, სადაც ისინი ცხოვრებაში გაატარებენ კურსებზე შეთვისებულ თეორიულ ცოდნას.

ამას გარდა სექტ. მარიდან ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს განზრახული აქვს გახსნას კურსები ელექტრონის ცვალებადი ნაკადის შესასწავლათ; ამ კურსებს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს პრაქტიკაში, რადგან ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრო სადგურის ამუშავების შემდეგ აუცილებელი იქნება ცვალებად ნაკადთან გაცნობილ მუშაკთა კადრი.

ზემო-ავჭალის სადგური იმუშავებს ცვალებად ნაკადზე, ამიტომ მუშებმა თუ არ შესწავლეს მისი მოხმარება შესაძლოა ადგილი ექნეს სიკვდილის მრავალ შემთხვევებს.

კურსების პროგრამა უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია.

ამას გარდა შემუშავებულია დებულება საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის შესახებ, რომლის თანახმათ შეგირდები იძულებული იქნებიან იარონ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში არა ნაკლებ ორჯერ კვირაში.

ყველა ამ ზომების გატარებით შესაძლებელი იქნება კვალიფიციურ მუშათა რიცხვის გადიდება საქართველოში.

საკურორტო მშენებლობა

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ჯანსახკომის მოადგილემ ამხ. აბზიანიძემ საკურორტო მშენებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელში განსაკუთრებით საგრძნობია კურორტებზე წასვლის სურვილი მუშებისა და მოსამსახურეების მხრიდან. ეს აიხსნება მრავალი მიზეზებით — მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, მათი კულტურული დონის ამაღლებით და, ბოლოს, იმით, რომ მიუხედავათ საქართველოს კარგი ჰავისა, უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად გაიზარდა ფილტვებით დაავადმყოფებულთა რიცხვი.

მოთხოვნილება ადგილების დათმობაზე სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მოგვივიდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებიდან—რუსეთიდან, უკრაინიდან, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან და სხვა. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვეძლო ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით სანატორიუმების ქსელის გაფართოვება.

უნდა აღინიშნოს, რომ აბასთუმანში ახალი სანატორიუმების გახსნის შემდეგ შესამჩნევათ შემცირდა საბინაო კრიზისი. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მომავალშიაც ვფიქრობთ სანატორიუმებათ გადავაკეთოთ კიდევ მთელი რიგი სახლები, რადგან ჩვენი საბოლოო მიზანია მეცნიერულათ დაყენებული სანიტარული ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ.

დანარჩენ კურორტებზე თანხების უქონლობის გამო ბევრი რამ ვერ გავაკეთეთ. შევაკეთეთ მხოლოდ ჩვენს განკარგულებაში მყოფი სახლები. ბრჯომში ეწყობა წყლით, სინათლით, ელექტრონით და ტალახით ექიმობის სამკურნალო, რომლის დასამთავრებლათ გადადებულია 28.000 მანეთი.

ამ დღეებში მოხდა ჩვენი კურორტების და საგარაკო ადგილების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გამოკვლევა. ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის სანუგეშო. ჩვენ მიმდინარე წელში შევიძინეთ 58 ჯიშიანი ძროხა და აბასთუმანში მოვაწყვეთ სარძეო ფერმა, რომელიც უკვე აკმაყოფილებს სანატორიუმების მოთხოვნილებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალი სეზონიდან ეს ფერმა დააკმაყოფილებს რძის პროდუქტებით როგორც სანატორიუმებს, ისე კერძო მოაგარაკეებსაც.

სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას კურორტებზე მეტათ ხელს უშლის წყალსადენის და კანალიზაციის უქონლობა. ამ ჟამად ჩვენ გვაქვს წყალსადენი ცემში და ახტალაში.

შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ საკურორტო სამმართველოს არა აქვს თანხები, რომ თვითონ ააგოს ახალი სახლები კურორტებზე, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ მივცეთ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, და აგრეთვე კერძო პირებს მიწის ნაკვეთები სახლების ასაგებათ. აღსანიშნავია, რომ ახალი სახლების მშენებლობას ადგილი აქვს წაღვერში, მაგრამ ის ხდება ყოველგვარი გეგმისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობებს დაცვის გარეშე.

უკვე მიღებულია რამოდენიმე განცხადება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და წარმოებებისაგან კურორტებზე მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ. ბორჯომში უკვე აგებულია 12 სამაგალითო მუშათა სახლი. ამას გარდა გემო-კვების მუშაკთა კავშირი თავისი წევრებისათვის აშენებს კიდევ ერთ სახლს.

საბჭოთა სასამართლო

ყალბი საბუთების მკეთებელი

ამავე სასამართლოში გაირჩა ბრალდებულ ა. ტოპილინსკის საქმე. მას ბრალი ედება დანაშაულში, რომელსაც ითვალისწინებს სისხ. სამართლის კოდექსის 195—13—194 მუხლები.

მიმდინარე წლის 30 მაისს, ბრალდებულმა ტოპილინსკიმ სამხედრო კომისარიატში წარადგინა „კომხვოდ“ ალ. ბრეჟნოვის სახელზე შევსებული ბილეთი. ითხოვდა აღრიცხვაზე აეყვანათ ის, როგორც სამხედრო პირი და ავადმყოფობის გამო მიეცათ ჯამაგირი.

კომისარიატში ბრალდებულ ტოპილინსკის ავადმყოფობის მოწმობა მოსთხოვეს. 20 წუთის შემდეგ მან ასეთი მოწმობებიც იშოვა და დაჟინებით ითხოვა, რომ ჩქარა გაენთავისუფლებინათ.

სამხედრო კომისარიატს ეჭვი შეეპარა მის მოქმედებაში, მან საგანგებო კომისიას აცნობა და უკანასკნელის რწმუნებულის მოსვლის შემდეგ გაჩხრიკეს ბრალდებული ტოპილინსკი. ჯიბეში მას აურაცხელი ყალბი საბუთები და მოწმობები უნახეს სხვადასხვა გვარებზე. ის მაშინვე დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა წინასწარ დაპატიმრების ჩათვლით.

წყალდიდობა გურიაში

(დაწვრილებითი ცნობები)

დაწვრილებითი ცნობები)

ოზურგეთი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

25 ივლისს, საღამოს 4 საათიდან მოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც გასტანა 26 ივლისის 3 საათამდე. ადიდდა მდ. ნატანები და ბჟუჯი. სოფლები წყლით დაიფარა. განსაკუთრებით დაზარალდენ სოფელი დვაბზუ, ჭალა, ნაწილი მელექედურისა და ქალაქის დაბალი ადგილები, თვით ქ. ოზურგეთში იდგა არშინ ნახევარზე წყალი, რომელიც შევიდა დუქნებში. დაბლობ ქუჩებში კი წყალი აღემატებოდა 2 არშინ ნახევარზე. ამასთანავე განადგურებულია ხიდები და დაზიანებულია ქუჩები. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო სასწრაფო ზომები ხალხის გადასარჩენად.

ზარალი გაცილებით მეტია, ვინემ 1922 წლის წყალდიდობის დროს.

განადგურებულია წისქვილები. ქალაქში მიმოსვლა შეწყვეტილია გზის გაფუჭების გამო, მატარებელი სამი დღეა არ მოსულა, ხიდები და გზები ხელ-ახლა გასაკეთებელია. ალაგ-ალაგ წყალმა წაიღო სახლები, ნალიები და პატარა შენობები.

დაიღრჩო ბევრი პირუტყვები და შინაური ფრინველი სოფლებიდან მოდის ცნობები დიდი ზარალის შესახებ.

ი. აბ—მაძე.

ლანჩხუთი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ივლისის 25-ს ღამებიდან გათენებამდე მოდიოდა კოკისპირული წვიმა. ზღვის ტალღისებრ აგორებული ნიაღვარი მოედო მთელს მიდამოს და მცხოვრებლები შიშის ზარმა მოიცვა.. ზარალი დიდია. ერთიანათ დალეწილი, დაწყვეტილი და წაღებულია ხიდები, ღობეები, ყანები და სხვა ნათესი, წაღებულია წისქვილები, ამოვსებული და წაშლილია წყლის კალაპოტები. ამ საშინელი სტიქიური უბედურებით დიდათ დაღონებული და შეშინებული გლეხობა ითხოვს მთავრობისაგან გამობრიობას, მფარველობას და დახმარებას. ადგილობრივი ხელისუფლება უკვე შეუდგა ზარალის გამოკვლევას, რის შემდგომ უსათუოთ მიღებულ იქნება ზომები დაზარალებულთა დასახმარებლად. წელ კარგი პირი უჩანდა ყანებს და ნიაღვარმა გლეხის იმედები დაასამარა.

კანენი.

სუფსა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

მდინარე სუფსა უკანასკნელი დღეების არაჩვეულებრივი წვიმების გამო ძლიერ ადიდდა. მდინარემ სრულიად წალეკა ახლო-მახლო მდებარე ყანები. ნიაღვარმა დააზიანა რკინისგზის ხაზი 4 ვერსის მანძილზე.

გლეხობის ზარალი დიდია: გარდა იმისა, რომ ყანების დიდი ნაწილი დაიღუპა, დამტვრეულია და წაღებულია სასიმინდეები, ღობეები, ხიდები, დაიხრჩო მრავალი ცხოველი და შინაური ფრინველები.

ვ. მანელი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ანგარიშში—„ნიაღვარი დასავლეთ საქართველოში“ გაიპარა სამწუხარო შეცდომა.

პირველი სვეტის ბოლო აბზაცში სწერია: „სადგურ სუფსაში წყალმა წაიღო პარკის საშრობი ფარდული 1.500 ფუთი პარკით“. უნდა იყოს: „წყალმა დაასველა 5 ფუთი პარკი“.

ქრონიკა

— **მინდვრის თაგვები.** ფშავეთიდან მიღებული ცნობებით, მაღაროსკარში საშინლად გავრცელებულა მინდვრის თაგვები, რომლებიც ანადგურებენ პურის ნათესებს. თხოულობენ სასწრაფო დახმარებას.

— **მიწათმოწყობა.** 1 აპრილიდან 1 ივლისამდე მთელ საქართველოში მიწათმოწყობა დამთავრდა 16 სოფელში. სულ გლეხებში განაწილებული და მოწყობილი იქნა 8232 დეს. მიწა.

— **პურის შემოტანა.** ა | კავკ. სახელმწიფო სგეგმო კომისიის დადგენილებით მომავალ 1925—26 საანგარიშო წელში რუსეთიდან ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 16 მილიონი ფუთი პური.

— **აგარაკებზე გაგზავნა.** თბ. დამზღვევი სალარო შეუდგა მეორე წყება ავადმყოფების გაგზავნას აბასთუმანში, ბორჯომში და ცემში.

— **თბ. დამზღვევმა** სალარომ დაადგინა გამოსცეს სოციალურ დაზღვევის ხასიათის პლაკატი-ცნობარი და გამოაკრას წარმოება-დაწესებულებებში.

— **ბავშვთა აღსაზრდელად.** თბ. დამზღვევმა სალარომ ექიმ წულეისკირს მიანდო შეადგინოს წიგნაკი, ძუძუ-მწოვარა ბავშვთათვის კონსულტაციაში გატარების ექიმების რჩევა-დარიგების მიცემის შესახებ.

— **ტყავების დამზადება.** ივნისში ამიერ-კავკასიაში კიდავა ორგანიზაციების მიერ დამზადებული იქნა 3,173 ფუთი მსხვილფეხა საქონლის ტყავი და 2,638 ცალი წვრილფეხა საქონლის ტყავი.

— **ბამბის გასაღება.** ა | კ. შინავაჭრობის კომისარიატმა რუსეთში სარეალიზაციოდ გაგზავნა 254,358 ფუთი ბამბა.

— **მატყლის გაგზავნა.** ივნისში რუსეთში გასასაღებლად გატანილი იქნა 8441 ფ. მატყლი.

— **წიგნების პალატების** საკავშირო თათბირზე საქართველოდან იგზავნება ამხ. ბერძნიშვილი.

— **მუშათა სახლი.** თბ. ალმასკომმა დაადგინა ნაძალადევში ააგოს მუშათა სახლი.

— **სპეც-ტანისამოსები.** შრომის საგ. კომისარიატმა წინადადება მისცა ჭიათურის შავიქვის ფერრო-მრეწველთ დაუყოვნებლივ დაურიგონ მუშებს სპეცტანისამოსი.

— **შრომის და თავდაცვის** საბჭომ აფხაზეთის მეთამბაქოთათვის სესხის დასარიგებლად გადასდო 2 მილიონი მანეთი.

— **სანიმუშო საფუტკრეების** მოსაწყობათ თბ. მაზრაში, თბ. ალმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებამ გადასდო 3000 მან.

— **უმწეო ბავშვები.** თბ. ალმასკომმა დაადგინა თავის ხარჯზე საბავშვო სახლში მოათავსოს წალკიდან 10 უმწეო ბავშვი.

— **მეფუტკრეობის გასავრცელებლად** მაზრაში, თბ. ალმასკომმა დაადგინა ადგილებზე დაგზავნოს ინსტრუქტორები.

— **მიწათმოქ. სახ.** კომისარიატმა მუშტაიდში გახსნა სასოფლო-სამეურნეო იარაღების საცდელი სადგური.

— **შრომის ახალი კოლექტივები.** შრომის კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ გადასწყვიტა თბილისში დაარსოს შრომის ახალი კოლექტივი-ქარხანა, რომელიც გადაამუშავებს სასაკლაოზე დაკლულ საქონლის ძვლებსა და სისხლს.

— **ცეცხლისმქრობელი რაზმები.** საქ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ მოწვეულმა საუწყებათაშორისო თათბირმა განიხილა და მიიღო გეგმა საქართველოში ცეცხლისმქრობელ პროფესიონალურ რაზმების მუშაობის და მათი შინაგანი წყობილების შესახებ.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ დაადგინა სახალხო მამულების ტრესტის დასაზღვევი პროცენტი დაუკლოს 4 პრ.

— **ბეწვეულობის დამზადება.** გასულ თვეში ა | კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დამზადებული იქნა 55,371 ცალი ძვირფასი ბეწვიანი ტყავი.

— **დახმარების გაცემა.** 30 ივლის უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ივლისის თვის ფულად დახმარებას იმ უმუშევრებზე, რომლებმაც გამოუშვეს თავიანთი რიგი.

— **საბჭოთა პარტიული სკოლები** მიმდინარე წელს დაამთავრა 727 კაცმა, მათ შორის 83 ქალია.

— **პოლიტ - უცოდინარობასთან მებრძოლი** მოძრავი სკოლები იანვრიდან დღემდე დაასრულა 286 კაცმა.

ხელოვნება

— **სახელმწიფო გამომცემლობა.** სახელმწიფო გამომცემლობა შემოდგომისათვის გამოუშვებს ქართველ კლასიკების ნაწარმოებს. თავდება აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას ორი ტომი. მზადდება ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ლ. არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე.

— **დიდი სადამო-წარმოდგენა ს. წინანდალში.** შაბათს, 1 აგვისტოს ადგილობრივ შვიდწლიან შრომის სკოლის შენობის ამგები კომისია მართავს დიდ სადამო-წარმოდგენას საკონცერტო განყოფილებით და სეირნობით წინანდალის (თელავის მაზრა) სახალხო მამულის ბაღში. თბილისიდან საგანგებოთ ამ საღამოსთვის გაიწვეული არიან მიშა გელოვანი, ნუნუ მაჭავარიანი, მიშა გულაშვილი და სხვა.

— **სახალხო სამხატვრო სტუდიის მოძრავი გამოფენები.** პროფესორი მოსე თოიძე გაემგზავრა თავისი მოწაფეებით ბათომში, ქუთაისში და ფოთში მოძრავი გამოფენების მოსაწყობათ.

— **მხატვარ ირაკლი თოიძის სურათების გამოფენა** გაგრძელდება კვირამდის, 2 აგვისტომდის. შესვლა გამოფენაზე მუშებისათვის და პროფკავშირთა წევრთათვის უფასოა. გამოფენა ღიაა ყოველ დღე 10—2 ს. საღ. 6—9 საათ. (ერმოლოვის ქუჩა № 3, ჭიაურელის სახელოსნოში).

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** დღეს კინო.

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 28 ივლისს, ვლადიმიროვის ქ. № 83 ტ. კაციაშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

— **გასრესა.** 28 ივლისს. საქ. სამხედრო გზაზე უცნობის ავტომობილმა გასრისა დ. ბერძენოვის ცხენი.

— **გაუპატიურება.** 28 ივლისს ერწოში შეიპყრეს ლ. სულიშვილი, რომელმაც ძალით გააუპატიურა ქალი.

— **ქურდობა.** 28 ივლისს, ყოფ. სასტუმრო „გრანდ ოტელში“ გაქურდეს მოქ. რ. ბენის ოთახი, წაღებულია 970 მან. ნივთები.

— **ამავე დღეს** ტრამვაის პარკიდან მოიპარეს დაფები. ქურდი მაისურაძე შეიპყრეს.

— **მობანავის გაქურდვა.** 28 ივლისს დილით ვერის ხიდის ახლოს მტკვარში ბანაობის დროს ა. იაგულოვს მოპარეს ნაპირზე დატოვებული ტანისამოსი.

— **შეპყრობა.** 27 ივლისს, დილით ლენინის ქ. № 3 გაქურდეს მოქ. ყორყოლიანის ბინა. ეჭვით შეიპყრეს ანნა პალუსინა.

მუშათა მოძრაობა

სენაკის აღმშენებელთა კავშირში

(ჩვენი სენაკელი მუშკორისაგან)

ალმშენებელთა კავშირის მუშაობა დღეს გაორკეცდა. შავიზღვის რკინის გზის გაყვანის დაწყებამ მას მრავალი ახალი წევრები შემატა და მუშაობით დატვირთა.

თანდათან მუშაობა რკინისგზის გასაყვანად ფართოვდება. მიწის სამუშაოების დაწესების შემდეგ მას მეტი მოძრაობა დაეტყობა.

სენაკის ალმშენებელთა კავშირის მოვალეობაა მოაწყოს მუშებში კარგი ადგილკომი, არ დაუშვას არამც და არამც მუშების ინტერესების ოდნავ მაინც შელახვა, მოაწესრიგოს სამუშაო ხელფასის დროზე მიცემა, სამუშაო საათების დაცვა და სხვა.

ყველაზე უძნელესია მუშებისთვის ის მდგომარეობა, როდესაც მოათავსებს სამუშაოს და მას უხდება ფულის ასაღებად ორი-სამი დღე გაჩერება და აქედან კი ზედმეტი ხარჯის გაწევა; ამას ჰქონდა ადგილი ა. | წ. 21 ივლისს, როდესაც დურგლებმა—ბარკალაიამ, უჩანეიშვილმა და სხვ. მიიღეს 9 დღის სამუშაო ხელფასი მესამე დღეს. ამით ჩვენ შევქმნით მუშებში უკმაყოფილებას. ალმშენებელთა კავშირი ამას სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს და მოაწესრიგებს.

ეს აუცილებელია.

მუშკორი—უჩა.

ჩვენი ყოფა-ცხოვრება

ახმეტა დიდი სოფელია, არის აქ ბევრი დაწესებულებები. ყველა აქაური მოსამსახურენი არიან პროფკავშირის წევრები, დაზღვეულები და სარგებლობენ პროფკავშირის წევრთა ყველა უფლებებით. არის ამბულატორია და აფთიაქი, საიდანაც დაზღვეული მოსამსახურენი იღებენ დახმარებას უფასოდ დამზღვევე კასის ანგარიშში; ულარიბეს გლეხობას გლეხკომი უწევს დახმარებას, რითაც შეუძლიან. არის ფოსტა, სამკითხველო, კოოპერატივი; გაზეთები საკმარისად მოდის და სხვა.

ალ. გ—ალი.

ასეთი ბატონები მოგვაშორეთ

(საკურორტო სამმართველოს საყურადღებოდ).

აბასთუმანის № 3 სანატორიის ადმინისტრაცია ექ. თაყაიშვილის თაოსნობით მეტად აუტანელი არის საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს ვაჟბატონები აქ „ბონაპარტის" როლს თამაშობენ, ძალიან ავიწროვებენ ა სჩაგრავენ მუშა ხალხს. და ძალიან უდიერად ეპყრობიან მას. იმედია, საკურორტო სამმართველო მიიღებს სათანადო ზომებს მათი ჭკუაზე მოსაყვანად.

სანატორიელები—ფირუმოვა და ნინო არდაზიანი.

აქ ხიფათი მოგველის

(მე-9-უბ. მილიციის საყურადღებოდ)

კიროჩნი ქ. № 17 ინვალიდთა კოოპერატივის წინ გასავლელ გზაზე არის პადვლის მინა ჩამტვრეული, სადაც მოხდა შემთხვევა ჩაუცდა ფეხი ბავშვს და კინაღამ მოიტეხა კიდეც. რომ არ განმეორდეს ასეთი, საჭიროა აიძულოთ პადვლის მოიჯარადრე და საჩქაროდ ჩაასმევინოთ მინა.

მუშკორი: მღელვარე.

დახმარეთ უმწეო ქვრივს

(რკინის გზის პროფკავშირის საყურადღებოდ)

რკინის გზის სამმართველოს ცენტრალურ სატელეფონო განყოფილებაში მსახურობდა ქვრივი ტელეფონისტი ქალი ჯვარშეიშვილი. ათი წლის განმავლობაში მისი ქმარიც რკინის გზის მოსამსახურე იყო. ჯვარშეიშვილისას ჰყავს მცირე-წლოვანი ვაჟი, რომლის მომვლელი და მარჩენალი დედა იყო მისი მცირე ჯამაგირით, მაგრამ მაინც ბედს არ ემდურებოდენ და ქვრივი პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას.

მაგრამ დახეთ უბედურებას! ქსელის გამგემ **ჩიტაძემ აითვალისწუნა ქვრივი ქალი და ის სამსახურიდან მოხსნა და შტატიდანაც გამორიცხა** სხვადასხვა მიზეზების გამო (?), მის მაგივრად კი მიიღო ისეთები, რომელნიც მხოლოდ საჭიროებენ სამსახურში ყოფნას პუდრების და სხვადასხვა კოსმეტიურ ნივთების შესაძენად და არავითარი გასაჭირი არ აწუხებთ, გარდა პირის გალამაზებისა. მიზეზი ჯვარშეიშვილის ადგილიდან მოხსნისა ვითომ იმაში მდგომარეობს, რომ ის „ყრუა" და არ შეეფერება თავის დანიშნულებას, რაც მართალი არ არის.

ამ ქსელზე ისეთებიც მსახურობენ, რომელნიც სრულებით არ არიან კავშირის წევრნი.

საჭიროა ქვრივი ჯვარშეიშვილი აღდგენილ იქნეს თავის თანამდებობაზე, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც ადგილკომმა, აგრეთვე რკინის გზის პროფკავშირმაც.

ინფორმ.—ყ—ნი.

ეს რა წურბელა შემოგვიჩნდა

(ქ. თბ. ალ. შემოს.-გასავ. სალაროს ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

თითქმის ყველა დაწესებულებებში არის ბუფეტები — მუშა-მოსამსახურეთა ხელის შესაწყობათ ჩაის, რძის და საუზმის მისაწოდებლად შეღავათიან ფასებში. მაგრამ, შემოს.-გასავ. სალაროს—ბუფეტში მოვაჭრე **კონდრატიევა** არ დაკმაყოფილდა ზემოაღნიშნულ გაყიდვით სანოვაგის შემოსავლიდან—და გადავიდა ფუფუნების საგნების „გაყიდვაზე—როგორიც არის „მაროჟნი" „შოკოლადი" „კაკაო" და სხვა. მოვაჭრე კონდრატიევას როცა სთხოვენ მაწონს, ის მიუთითებს „კისელზე" მაწონი არა მაქვსო, ვინაიდან „კისელი" უფრო სარგებლიანია მისთვის.

ეს ქალბატონი აქ ფუფუნების საგნებს ასაღებს.

საჭიროა ადრე მიექცეს ამას ყურადღება და მოვაჭრე **კონდრატიევა** განდევნოთ ამ დაწესებულებიდან.

მუშკორი—მღელვარე.

ეს ეზო უნდა გასუფთავდეს.

(მე-5-უბნის სანიტარულ განყ. საყურადღებოდ)

ორთაჭალაში, უსახელო შეს. სახ. № 5-ის ეზო ძალიან უსუფთაოდ არის. ფეხსადგილიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. თუ ამას მალე ყურადღება არ მიექცა, შეიძლება, რომ ამ სიცხე-პაპანაქებაში „ზაფხულობით" გახშირდეს ავადმყოფობა.

სანიტარულო კომისიავ, ერთი იქაც შეიხედე!

მუშკორი—ალ. ბ—შვილი.

სოფლიდან

რა აწუხებს სოფ. ახმეტის გლეხობას

(თელავის მაზრა)

ზემოხსენებულ სოფელს დღევანდლამდე არა აქვს არც სახალხო სახლი და არც წყალი. მართალია სახალხო სახლის აშენებაზე და წყაროს გამოყვანაზე ლაპარაკია გასაბჭოების პირველ დღიდანვე, მაგრამ გაკეთებული ჯერჯერობით კი არაფერია. ის წყალი კი, რომლითაც დღეს ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს, არ ვარგა და იწვევს ყოველგვარ სნეულებებს ამიტომ წყარო ახმეტისათვის აუცილებელია, მით უმეტეს, რომ გლეხობას ამის სურვილი აქვს და ახლო-მახლო ბევრი კარგი წყაროებიც მოიპოვება.

თუმცა წყაროსთვის შეძენილია უკვე მილები, მაგრამ თუ ეს მილები დროზედ არ იქნა მოხმარებული, შეიძლება გამოუსადეგრად დაიმტვრას.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ბებია-ქალის უყოლობა. არამც თუ თვით ახმეტას, მთელ რაიონს არა ჰყავს ბებია ქალი, რაც თავისუფალ ასპარეზს აძლევს ამ დარგში სრულიად გამოუცდელ სოფლის დედაკაცებს, რის გამოც მათ ხშირად მიჰყავთ მშობიარე ქალი სამარის კარამდე. ეს ყოვლად დაუშვებელია და საჭიროა მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ მიაქციოს მას სასწრაფო და სერიოზული ყურადღება.

აქ არის კოოპერატივიც 30—35 წევრით, ისინიც ყველა მოსამსახურენია; გლეხობა კი კოოპერატივში სრულიად არ არის გაერთიანებული. თუ კოოპერატივის ყოფილ გამგეობების წყალობით საქმე ვაფუჭებულია, ახლანდელი გამგეობა იძლევა იმედს, რომ კოოპერატივის საქმეს ჯეროვან სიმაღლეზე დააყენებს. აი ამიტომ ახალმა გამგეობამ უპირველესად ყოვლისა მიზნად უნდა დაისახოს, რაც შეიძლება მეტი გლეხობა მიიზიდოს თავის კოოპერატივში, თუნდ ამისთვის საჭირო იყოს საწევრო გადასახადის შემცირებაც და მისი რამდენიმე ვადაში შემოტანა.

საერთოდ ყოველგვარი ღონისძიებები უნდა იქნას მიმართული იმისათვის, რომ ულარიბესი და საშუალო გლეხობა ჩაბმული იქნას კოოპერაციაში.

აი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლულევანებების გასწორება აუცილებლად საჭიროა და სათანადო ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ მას სერიოზული ყურადღება.

ალ. გალ—ი.

ცოტა რამ აგარაკ მუაშის შესახებ

(ქვემო სვანეთი)

გასულ წელთან შედარებით ზემოაღნიშნულ აგარაკს ეტყობა საგრძნობი გაუმჯობესება. თუ წინეთ მოაგარაკეებს უბინობის გამო უხდებოდათ ცის ქვეშ ღამის გათევა, ან წქნელით მოწნილ კარვებში ცხოვრება, სადაც წვიმა ისე მოდიოდა როგორც მინდორში, წელს სულ სხვა მდგომარეობაა; მუაშის მინდორს ამშვენებს ახლად აგებული სახლები. მთელი აგარაკი 5 დესეტინამდის მოაჯირით არის შემოვლებული, რაც ხელს უწყობს სისუფთავის დაცვას მჟავე წყალი (ზგიმი), რომლითაც დღემდის ყოველგვარი ცხოველი სარგებლობდა, დღეს მაღალი და მჭიდრო ქვის ნაშენი მხოლოდ ადამიანს აძლევს საშუალებას მით სარგებლობისას.

აქ არის აგრეთვე რკინის წყალით სარგებლობისათვის ახალი ვანები მოწყობილი.

მუაშში მიმავალი გზაც ლანქორის უღელტეხილით კარგად არის შეკეთებული, რაც საშუალებას აძლევს მოაგარაკეთ უშიშრად და მშვიდობით ჩავიდენ მუაშში.

ჯერ-ჯერობით აგარაკზე მხოლოდ 60-დე მოაგარაკეა. მუაშში მოწყობილია სასადილოც, სადაც ფასები ყველაფერზე გადაჭარბებულია.

მაგ. პური შავი გირვანქა 20 კაპეიკია, პატარა წიწილა 1 მ. 50 კ., ხორცი მჭლე თხის 40 კ. გირ. ასეთია ფასები სხვა დანარჩენ პირველი მოთხოვნილების საგნებზე.

საკვირველია ადგილობრივმა გლეხკომმა რისთვის ვერ შესძლო ეკისრა ადგილობრივ სასადილოს მოწყობა, რითაც მოაგარაკეებს გადაარჩენდა ასეთი „ულმერთო" ყვლეფისაგან?

ოტნო.

წერილებიდან

დილაკაურის თემი (შორაპნის მაზრა). ჩვენს თემში არის ერთი ქოხ-სამკითხველო, რომელიც ძლიერ ღარიბია წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით და ინვენტარით, თვით სამკითხველოს ბინაც ძალზედ პატარაა. და ეს იმ დროს, როდესაც ადგილობრივი სოფლის გლეხკაცობაში კულტურული მოთხოვნილება მეტად იზრდება. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

აბ. სალაძე.

სოფ. დირბი (გორის მაზრა). ამას წინად აქ ქარელის უბლის უბნის სახალხო სასამართლოს სესიამ მოაწყო საჯარო სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა გლეხებისაგან შემოტანილი საჩივრები და განცხადებები. ამ სხდომას დიდი კმაყოფილებით შეხვდა გლეხობა, რადგან ადგილობრივ სასამართლოს არ არსებობის გამო, სესიამ განიხილა ყველა ის მტკივნეული საკითხები, რომლებიც აწუხებდათ მათ. სასურველი და აუცილებელიცაა, რომ სასამართლოს გლეხობასთან მჭიდროდ დაახლოების მიზნით ხშირ-ხშირად ეწყობოდეს ასეთი სესიები, სანამ თვით სოფელში დაარსდებოდეს ადგილობრივი სასამართლო.

სერნარი.

სოფ. ბაშკიჩეთი (ბორჩალოს მაზრა). ზემოხსენებულ სოფელში თურქ-მასწავლებლებისათვის გახსნილია სამთვიანი გადასამზადებელი კურსები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს ა | წ. 25 ივნისს. კურსებზე 55 მსმენელია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკულ მუშაობას. მსმენელები თავიანთი მხრივ დიდ ენერგიულობას იჩენენ მეცადინეობისადმი, აღსანიშნავია ისიც, რომ აღმასკომიც ყოველგვარ საშუალებებს ხმარობს კურსების წესიერ მსვლელობისათვის. მხოლოდ ერთი ნაკლი, რომელიც მოითხოვს გამოსწორებას, არის სასადილოს მოუწესრიგებლობა კურსების მსმენელებისათვის.

მეთვალყურე.

ქ. სურამი. სულ რამდენიმე ხანია მას შემდეგ, რაც სურამს მოაწყდენ მოაგარაკენი. მაგრამ შარშანდელთან შედარებით უნდა ითქვას, რომ მოაგარაკეთა რაოდენობა მაინც მცირეა. მიზეზი ამისა კი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სეზონის დასაწყისში ოთახები ძვირად ფასობდენ, ეხლა კი ფასებმა საგრძნობლად დაიწიეს. ასევე ითქმის პირველ მოთხოვნილების საგნებზედაც. მოაგარაკეთა უმრავლესობა მუშებია,

ი. გაგოშიძე.

სოფლის ქრონიკა

— **სად. წინანდალის გაძარცვა.** 25 ივლისს გაძარცვეს კახეთის რკ. გზის სადგური წინანდალი. წაიღეს 300 მან.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის აგრო-დახმარების განყოფილება შეუდგა ახალქალაქის მაზრის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მომარაგებას.

— **სკოლა ახალგაზრდობისათვის.** ახალქალაქში 1 სექტემბერს გაიხსნება, სკოლა გლეხ-ახალგაზრდობისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საწარმოვო უჯრედების ბიუროების კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო 29 ივლისისათვის, გადადებულია 3 აგვისტოსთვის საღამოს 5 საათზე, მუშათა ც. კლუბში.

თ. კ. მდივანი **სვანიძე.**

პარასკევს, 31 ივლისს, საღამოს 6 ს. ც. პარტკლუბში მოწვეულია **თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.**

დასწრება სავალდებულოა პლენუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის, რაიკომების ბიუროს წევრებისა და კანდიდატებისთვის და დიდ უჯრედების მდივნებისათვის.

თ. კ. მდივანი **მიხ. კახიანი.**

— არსრაიკომი იუწყება: პარასკევს, 31 ივლისს, დღის 3 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება არსრაიკომის უჯრედების მდივანთა თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ყველა მდივნებისათვის.

მდივანი **მელაძე.**

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფ. იუწყება: დღეს, 30 ივლისს, რაიკომის ბინაზე შესდგება მორიგი მეცადინეობა საეგ. წრისა ქართულ და რუსულ ენაზე.

გულდათუთქული მშობლები ფლორენცია დათიკო, და ფაცურა, ბებია ტიტე შავიშვილები, ბებია ქრისტინე და დეიდა კატო ჩიგოგიძეები, ბიცოლა ტერეზი, ბიძია კოლია, ბიძაშვილები თამარ, შურა და კოტიკო შავიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

კაპიტონის (კუკურას)

უდროვოთ დაკარგვას, რომლის დასაფლავება მოხდება ქ. ოზურგეთში ხუთშაბათს, 30 ივლისს ნაშუადღევის 3 საათზე.

2105 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამიდა ტერეზია, ბიძა ალექსანდრე, მამიდაშვილები ლეონინა და თამარა მაჭავარიანები, მამიდა პელო და ბიძა მიშა ორჯონიკიძეები იუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პატარა

კუკურას

უდროვოთ გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება ქ. ოზურგეთში ხუთშაბათს, 30 ივლისს ნაშუადღევის 3 საათზე.

2105 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე ლავრენტის ასული, ბებია ნატალია გლახუას ასული, ბაბუა ალექსანდრე გიორგის ძე, ბიძები მიხეილ, ალექსანდრე და გიორგი ქუთათელაძეები, მამიდები ოლღა, ქსენია, ეკატერინე, თალიკო, ნატაშა, ბიძის-ცოლები ლიდა, და ნინა, ჯიმადიები ნიკიფორე ხომერიკი, ივანე მაჭავარიანი, მიხეილ ქვარიანი და მამის დის შვილები თინა და ლეო ხომერიკები, ამით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებთ და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. აბასთუმანში 27 კვირიკობისთვეს გარდაიცვალა მათვის დაუვიწყარი საყვარელი

შურა (ალექსანდრე) ვლადიმერის ძე
ქუთათელაძე

დასაფლავება მოხდება ქ. ხონში. გამოსვენების და დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

№ 2097—1—1

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა საგაკვეთილო დებულება

საალმშენებლო სამუშაოთათვის ქართულ ენაზე ტეხნიკურ ლექსიკონითურთ. წიგნის ფასი 12 მანეთი, პროფკავშირების წევრთათვის 10 მანეთი. ხელისმომწერნი პირველად იხდიან ფასის მესამედს, დანარჩენს კი ორი თვის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში სარედაქციო კომისიის მდივანთან გ. თარხნიშვილთან ივ. მაჩაბელის ქ. № 8.

ნ. 1544 3—3.

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ა. ოდიშარია აცხადებს, რომ იხ, 8 აგვისტოს 1925 წ. საათის 1, პლეხანოვის პროსპექტი № 168 და 177.

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

ტიგრან ფიჩხულოვის მოძრავ ქონებას—ცხენს, ტაჩკას, ცხვარს, როგოვებს, ლენტებს, სამელნეს მარმარილოსას, ვარდების კალათებს, დიდ სარკეს, შკაფს, სკამებს, 35 შუშის და თიხის ბანკებს, ლამპას, ელექტრონის საანგარიშოს, შანდალს ელექტრონისას, ხამუტს, კასრებს, ლამპებს, შეფასებულს 420 მან. დასაკმაყოფილებლად საბჭ. მსახ. კავშირისა, კარამიანცისა, ლუარსაბოვისა და თბილისის აღმასკომისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

2107 1—1.

ბეჭდვითი საქმის სააქციო ამხანაგობა

„ქართული წიგნი"

მზადდება გამოსაცემად ქართველი კლასიკების სერიიდან პირველ რიგში შემდეგი ავტორები:

1. ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული შვიდ ტომად.
2. ალექსანდრე ჭავჭავაძე. სრული კრებული ერთ ტომად.
3. გრიგოლ ორბელიანი. სრული კრებული ერთ ტომად.
4. დავით გურამიშვილი. სრული კრებული ერთ ტომად.
5. საბა-სულხან ორბელიანი. მხატვრული პროზა.—მოგზაურობა ევროპაში. ერთ ტომად.

დანარჩენი სერიები ცალკე გამოცხადდება

ამ თავითვე მიიღება ხელისმოწერა ილია ჭავჭავაძის ნაწერების კრებულზე. გამოცემის დაწვრილებითი პროგრამა და ხელის მოწერის პირობები გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

მისამართი: ქ. თბილისი, „ქართული წიგნის" კანტორა და წიგნის მაღაზია, გიორგის ქუჩა № 1, ქაშვეთის პირდაპირ.

ნ. 1556 1—1

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა მ. ტყაბლაძისა

ქუთაისში

იღებს ხელის მოწერას (როგორც კოლექტიურს, ისე ინდივიდუალურს)

გაზეთ „კომუნისტზე"

ბინაზე მიტანით. ხელის მოწერის პირობები გამოქვეყნებულია

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

მუშათა ცენტრალური კლუბი

დღეს, ხუთშაბათს, 30 ივლისს

სიმფონიური კონცერტი

პროგრამაში: ჩაიკოვსკი, კალინიკოვი, ვერდი, იპოლიტოვ-ივანოვი და სხვ.

ნ. 1558 1—1

თბილისის რკ.-გზ. საავადმყოფოს

კაპიტალურ რემონტის გამო, საავადმყოფოს

სამკურნალო განყოფილება

1 აგვისტოდან დროებით იხურება

ავადმყოფი რკინისგზელები იქნებიან მიღებული სამკურნალოდ საბჭოთა ინსტიტუტში, ოლღას ქუჩა, № 50, და ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში ამიერ-კავკასიის რკ.-გზის ჯანმრთელობის სამმართველოს ხარჯზე.

2108 2—1

ა. წ. 2 აგვისტოს დილის 9 საათზე

მუშკოოპის

სავაჭრო ქვეგანყოფილების მიერ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

150 სხვადასხვა სახელწოდების საქონლისა და ნივთების გასაყიდათ.

ყორესის (ყოფ. კირკის) ქუჩაზე, შესავალი ეზოდან.

ცნობების მისაღებათ მიმართეთ ამხ. ჭავჭანიძეს დილის 8—11 საათამდე.

ნ. 1555 1—1

საზოგადოების საყურადღებოდ

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

კონსტანტინე კაპანელის

„სოციალურ ესთეტიკის საფუძვლები"

პროვინციის წიგნის მაღაზიებს შეუძლიათ ხსენებული წიგნი მიიღონ საკომისიოდ საქარ. სახელგამის წიგნის მაღაზიიდან.

—მათვე შეუძლიათ მიიღონ საკომისიოდ: პროფ. კ. კეკელიძის: „ქართული ლიტერატურის ისტორია".

ნ. 1553 3—2

ს. მ. უ. ს. ტყავეულობის

ტრესტი

აცხადებს ა-წ. 31 ივლისს დღის 10 საათისთვის

საჯარო ვაჭრობას

ფეხსაცმელების ფაბრიკის ნაწილობრივი გადაკეთებისა და საურმე საწონის ფუძის ასაგებათ ტყავქარხანა № 1-ის ეზოში კომუნალური ქუჩ. № 98-ში.

სამუშაოთა გაცემის პირობების და აგრეთვე პროექტისა და ხარჯთაღრიცხვების გაცნობა შეიძლება ყოველდღე დილის 9-დან 2 საათამდე ტრესტის ცენტრალ სამმართველოში კომუნალური ქუჩაზე № 82. განცხადებები მიიღება დახურულ პაკეტებში წარწერით: 30 ივლისის შეჯიბრებისათვის

ნის. 1554—1—1

ტყავტრესტის ცენტრ. გამგეობა.

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს რომ ხმარობდეთ მხოლოდ

მ. ლაღიძის საუკეთესო, ხელოვნურათ მომზადებული

ხილეულ-მადნეული და სამკურნალო წყლები,

რომლებიც მომზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადული წყლით უაღრესათ გაუმჯობესებულ აპარატებზე.

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოთ იმ წყლის კეთილ ღირსებაზე, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ან მისი საკუთარი განყოფილებიდან.

რუსთაველის პროსპექტი № 18

ნ. № 1496 4—4

ლუდის მოყვარულთა საყურადღებოთ

რათა დავამტკიცო, რომ ჩემ მიერ მომზადებული ლუდი ღირსებით არ ჩამოუვარდება მიუნხენისას 1 აგვისტოდან გამოშვებული იქნება

შავი ლუდი

ჰ. ფულიდის

ვთხოვ ქიმიკოსებს, სპეციალისტებს და ლუდის მოყვარულთ მოგვაწოდონ თავიანთი მიუდგომელი დასკვნა.

ნის.1 552—2—2

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის

სამმართველო

აცხადებს, რომ ა.-წ. 10 აგვისტოს დილის 11 საათზე

საალმშენებლო-საბინაო განყოფილების შენობაში ინჟინრის ქ. № 2

დანიშნულია

შერეული

საჯარო ვაჭრობა

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებათათვის 1925—26 წელში 10.000 კუბ საჟ. შეშის მისაწოდებლად, აქედან: საბჭოთა საქართველოში—5600 კუბ. საჟ., აზერბეიჯანში—2.200 კუბ. საჟ. და სომხეთში—2.200 კუბ. საჟ. ამასთანავე აღნიშნული რაოდენობა შეიძლება შემცირებული ან გადიდებული იქნას 30 პროც.-ით.

მიწოდება შეიძლება აღებული იქნას, როგორც მთელ აღნიშნულ რაოდენობაზე, ისე ცალკე რესპუბლიკებში და გარნიზონებისთვის: თბილისი, ახალციხე, ბორჯომი, გორი, კრასნიე-კოლოდცი, მანგლისი, თელავი, ბათომი, ოზურგეთი, ქუთაისი, სოხუმი, ბაქო, განჯა, კუბა, კუსარი, ლენქორანი, ერევანი, გერუსი, დელიჟანი, კარაკლისი, კანაკირი, ლენინაკანი.

წარმოდგენილ განცხადებებში და ზეპირ ვაჭრობის დროს საჭიროა გამოცხადებული იქნას:

1) ნორმალური ჯიშის 1 კ. საჟ. შეშის ფასი ყაზარმებში მიტანით, აღნიშნული უნდა იქნას დატვირთვის სადგური, რკინისგზის ფრახტის საფასურის გარდა, რომელიც ცალკე იქნება ანაზღაურებული სამხედრო უწყების მიერ.

2) ნორმალური ჯიშის შეშის 1 კ. საჟ. ფასი ვაგონზე დადებით, დატვირთვის სადგური და დატვირთვის ადგილის აღნიშვნა.

3) დანარჩენი ცნობები მიწოდების შესახებ.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველოს საალმშენებლო-საბინაო განყოფილებასთან არსებულ სავაჭრო კომისიის სახელზე შემდეგი დოკუმენტები წარწერით: „კავკასიის წითელდროშოვან არმიისათვის 1925—1926 წლ. შეშის მისაწოდებლათ გამართულ ვაჭრობისათვის".

1) მოვაჭრის პირადობის მოწმობა.

2) ქვითარი საბჭ. კავშირის სახელმწიფო ბანკში მიწოდების მთელი საფასურის 10 პროც.-ის შეტანის შესახებ.

3) ხელწერილი იმის შესახებ, რომ ის ვალდებულია დასდოს ხელშეკრულება წარმოდგენილ ფასის მიხედვით ვაჭრობის დამტკიცების შემდეგ. სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები საწინდრის შემოტანისაგან თავისუფალი არიან.

ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა პირებმა უნდა შეასრულონ ყველა ჩამოთვლილი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჭრობაზე არ იქნებიან დაშვებული.

მიწოდების საერთო და კერძო პირობების გაცნობა შეიძლება სამსახურის საათებში: ქ. თბილისში—ინჟინრის ქუჩა № 2, ქ. ბაქო—აზერბეიჯანის ტერიტორიალურ სამმართველოს საბინაო განყოფილებაში და ერევანში—სომხეთის ტერიტორ. სამმართველოს საბინაო განყოფილებაში; ქალაქ განჯაში, კუსარში, ლენინაკანში, ბათომში, ქუთაისში—რესპუბლიკის სათანადო ტერიტორიალურ ნაწილთა სამმართველოს საბინაო განყოფილებათა უნცროს ინჟინრებთან.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველო.

ნის. 1557. 3—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—11

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 172 შალვა ივანეს ძე იოსელიანმა. ჩ. გ. 1—1 2098

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1435 ვარლამ მელიტონის ძე გვარჯალაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2104

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1012 ლუარსაბ ილიას ძე შუბლაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2109

დავკარგე საალრიცხვო მოწმობა № 2128 ამონაწერ „ვ" რკინისგზის სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული იასონ ლამბაშიძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2103

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 601 და მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 98 სოფიო გურგენაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2101

დავკარგე ექიმი მაქსიმოვიჩის მედსანშრომის საწევრო წიგნაკი № 98. ჩ. გ. 1—1 2100

დავკარგე ილიკო შვარცმა მედსანშრომის წიგნაკი № 9 და თბილისის სამხედრო სასწავლებლიდან მიღებული ატესტატი. ჩ. გ. 1—1 2099

ტირაჟი—20.807

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სამ. წოლოკიძის ქ. № 4